# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 14-15 სექტემბერი. 2022 წ. №143-144 (9481-9482) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## ისევ ტყუილი წარმატებული რეფორმების წინააღმდეგ

# ხელები შორს ქართული ჯარისგან!

ცალკეული პოლიტიკურად ანგაჟირებული მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად გააქტიურდა დეზინფორმაციული კამპანია, თითქოსდა თავდაცვის ძალებს მასობრივად ტოვებენ სამხედროები. აღნიშნული დეზინფორმაციის მიზანია, ჩრდილი მიაყენოს თავდაცვის ძალებში მიმდინარე წარმატებულ რეფორმებს, სამხედროების ზრუნვის მიმართულებით გადადგმულ უპრეცედენტო ნაბიჯებს, რომლებმაც არსებითად გააუმჯობესა სამხედროების ფინანსური, საბინაო, სამედიცინო, საგანმანათლებლო, აღჭურვის, კვების და ა.შ. პირობები.

„პოლიტიკურად ანგაჟირებული აქტორების მიერ დაწყებული ჯარის დისკრედიტაციის კამპანია კარგად აჩვენებს თავდაცვის ძალებში მიმდინარე რეფორმების და აღმშენებლობის პროცესის ეფექტურობას. თავდაცვის ძალები წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს და ცხადია, მას ტოვებს სამხედროთა გარკვეული რაოდენობა, თუმცა ასევე ხდება მისი რიგების შევსება. თავდაცვის სამინისტროს არაერთხელ განუმარტავს, რომ გადინებისა და შევსების თვალსაზრისით, მაჩვენებლები სტაბილურია თავდაცვის ძალების ყველა გვარეობის მიმართულებით.

ამასთან, ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ სამხედროთა პირობების გაუმჯობესებას, რაც მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდება. სამწუხაროდ, პოლიტიკურად ანგაჟირებული ტელევიზიები არასდროს ინტერესდებიან ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ვიზიტებით, სწავლებებით, თუ ნატოსთან ინტეგრაციის პროცესით. განსაკუთრებით, ბოლო რამდენიმე წელია, პრაქტიკულად, ქართული ჯარის შესახებ თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების, საერთაშორისო თუ ადგილობრივი სწავლებების მიმართულებით, უწყების მიერ მომზადებული მასალების გავრცელება აღნიშნული მედიასაშუალებების მიერ არ მომხდარა, რაც პირდაპირ მიუთითებს მათ პოლიტიკურად მოტივირებულ და ნეგატიურ დღის წესრიგზე“...

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო



## 115 წელი ილიას გარდაცვალებიდან



115 წელი შესრულდა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენიდან – ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან. მთელ მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება შემთხვევა, როდესაც ერთმა ადამიანმა ასეთი წარმოუდგენელი მასშტაბების პირადი ძალისხმევა გასწია ქვეყნის მომავლის შენებისთვის. ილიას მოღვაწეობამ კულტურაში, პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გაკვალა ქვეყნის განვითარების ის გზა, რომელსაც დღესაც მივყვებით.

1987 წელს მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის თაოსნობით ამ უდიდესი ღვაწლის აღიარებამ და ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვამ მძლავრი სტიმული მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც საბოლოოდ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობით დაგვირგვინდა. დღეს კიდევ ერთხელ, უდიდესი მადლიერების გრძნობით, პატივს მივაგებთ ადამიანს, რომელსაც დამსახურებულად მოვიხსენიებთ ერის მამად. საქართველო არასდროს დაივიწყებს ილია ჭავჭავაძის ნათელ ხსოვნას.

ირაკლი ღარიბაშვილი.



## დღეგრძელობა ჩვენს პატრიარქს!

მთავრობის მეთაური უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს დღეგრძელობას უსურვებს.

**„ვესტუმრე კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს. ვისაუბრეთ ჩვენი ქვეყნისთვის ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. დღეგრძელობა ჩვენს პატრიარქს!“,** – აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი.

## ირაკლი კობახიძე: ხალხს უნდა ვკითხოთ, უნდათ მეორე ფრონტი საქართველოში, თუ არ უნდათ...

④

## ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დასაწყებად საკონსულტაციო ჯგუფებს დავიქირავებთ

②




## ია ჩანტლაძე:

## ახალგაზრდებო, გემუდარებით – ნუ გაწირავთ მშობლებს უცხოური კარიერისთვის...

⑨



## მხოლოდ მთავარზე

# საქართველოს ეკონომიკა გადარჩა, წელში გაიმართა და აღორძინდა!

## მთავრობის სხდომის მთავარი თემა

**გასულ წელს ჩვენ გვქონდა ძალიან ძლიერი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, 10.4%-ით და წელსაც დავიწყეთ ძალიან ძლიერი ეკონომიკური ზრდით. პირველ შვიდ თვეში გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, 10,3%,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 12 სექტემბერს მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ბიუჯეტი წელს დაიგეგმა 6%-იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი იყო 64,8 მლრდ ლარი.

**„დღეს მინდა ჩვენს მოქალაქეებს მივაწოდო ინფორმაცია და ერთგვარი ანგარიში ჩავაბარო ბიუჯეტთან დაკავშირებით. მანამდე, მინდა მოკლე შესავალი გავაკეთო. როგორც მოგეხსენებათ, პანდემიის შემდგომ, გასულ წელს ჩვენ გვქონდა ძალიან ძლიერი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, 10.4%-ით და წელსაც დავიწყეთ ძალიან ძლიერი ეკონომიკური ზრდით. პირველ შვიდ თვეში გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა — 10,3%.**

**ასევე შეგახსენებთ, რომ ბიუჯეტი წელს დაიგეგმა 6%-იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი იყო 64,8 მლრდ ლარი. ასევე პროგნოზირებული იყო საქონლის ექსპორტის ზრდა დაახლოებით 13%-ით, ხოლო ტურიზმის აღდგენა, 2019 წელთან შედარებით, — 70%-ის ფარგლებში.**

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, პირველ ეტაპზე, რა თქმა უნდა, ახალი რისკები შეიქმნა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, ევროპისთვის. ჩვენ მაშინ გვქონდა მსჯელობა და, რომ არა ჩვენი სწორი პოლიტიკა, შესაძლებელია დღეს არა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, არამედ ეკონომიკური ვარდნაც კი ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში, ისევე, როგორც დღეს მსოფლიოში.

**ამ პერიოდში ჩვენ გვაქვს შემდეგი პარამეტრები: საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი 3,1 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, რაც 36%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს; ასევე მინდა ვთქვა, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 1,6 მლრდ აშშ დოლარს, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 3-ჯერ მეტია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ წლის პირველ კვარტალში 922 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება, ხოლო 2019 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს 62%-ით აჭარბებს; ასევე მინდა ვთქვა, რომ დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვები იანვარ-ივლისის პერიოდში გაზრდილია 21%-ით. ეს ნიშნავს, რომ წელს, პირველ 7 თვეში, კვლავ ორნიშნა, 10.3%-იანი, ეკონომიკური ზრდა გვაქვს.**

**ამიტომ, ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით, ჩვენ შევცვალეთ ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების წლიური პროგნოზებიც და განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზები ითვალისწინებს შემდეგს: რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 8,5% იქნება, ნაცვლად 6%-ისა; ფაქტობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი შეადგენს 10,5%-ს; ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი განსაზღვრულია 72,2 მლრდ ლარით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი 6500 დოლარს აჭარბებს; ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები იზრდება 1 266,0 მლნ ლარით“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.**

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ პოზიტიური დინამიკა გაგრძელდება და წელს ისეთივე წარმატებული წელი იქნება, როგორიც გასულ წელს იყო.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა შესაძლებელი გახდა სწორი, გონივრული, ეროვნულ ინტერესებზე გათვლილი პოლიტიკითა და არა ემოციური და გაუაზრებელი, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით, რომლისკენაც ხელისუფლების ოპონენტები მოუწოდებდნენ.

**„მაღალი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებების მომზადება და ეს ცვლილებები ორიენტირებულია 2 ძირითადი მიზნის მიღწევაზე.**

პირველი — **ეს არის ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის შემცირება. აქვე, მინდა ძალიან მოკლედ მოგახსენოთ ამის თაობაზე: მოგეხსენებათ, რომ ნაერთი ბიუჯეტი დაიგეგმა მშპ-თან მიმართებით 4,4%-იანი დეფიციტის, ხოლო მთავრობის ვალის 51%-იანი ნიშნულის ოდენობით.**

**წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, წელს ჩვენ ვიღებთ ბიუჯეტით დაგეგმილზე 710 მილიონი ლარით ნაკლებ ვალს. ასეთი ძლიერი ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით და წლის ბოლოსთვის მთავრობის ვალის მოცულობა შემცირდება მშპ-ის 40%-მდე, ნაცვლად 51%-ისა, რაც ასევე ძალიან კარგი მაჩვენებელია. ამასთანავე, ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა მშპ-ის 4,4%-დან მცირდება მშპ-ის 3,2%-მდე. დეფიციტი იქნება მხოლოდ 3,2%. დეფიციტისა და ვალის შემცირების პარალელურად, დამატებითი თანხები უნდა მივმართოთ ჩვენ, ერთი მხრივ, აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად და მეორე მხრივ, სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს პოლიცია, ჯარი, ინფრასტრუქტურა, საწარმოების დაფინანსება, სოფლის მეურნეობა, სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, სპორტი.**

**ამის თაობაზე მინდოდა რომ მომეწოდებინა ინფორმაცია, ანგარიში ჩამებარებინა ჩვენი მოქალაქეებისთვის. ბატონი ფინანსთა მინისტრი არის მზად, რომ ამის თაობაზე დეტალურად ისაუბროს მედიასთანაც. პარლამენტში გვექნება ამის თაობაზე საუბარი და კიდევ ერთხელ მინდა ყველას მადლობა გადაგიხადოთ ასეთი ეფექტიანი მუშაობისთვის“!..**



## პიტერ ფიშერი: საქართველოსა და გერმანიის მეგობრობა ახალ პროექტებს მოიტანს...

საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **პიტერ ფიშერი** პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ეხმაურება.

**„მადლობას ვუხდი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს გაცნობითი ხასიათის შეხვედრისთვის.**

**განვიხილეთ ჩვენი დროის გეოპოლიტიკური გამოწვევები და ის პოლიტიკური და ეკონომიკური რეაგირება, რაც ევრო-ატლანტიკურმა საზოგადოებამ უნდა გააკეთოს მათზე საპასუხოდ.**

**საქართველოსა და გერმანიის მეგობრობა ახალ პროექტებს მოიტანს ამ რეაგირების შედეგად.**

**ყოველივე ამას დამატებით სტიმულს მისცემს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ბერლინში და ფედერალურ კანცლერთან შეხვედრა“,** — წერს პიტერ ფიშერი.

## თავისუფალი ვაჭრობა არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან

**საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ერთობლივი ბიზნეს საბჭო შეიქმნება — შესაბამის მემორანდუმს ხელი მოეწერა საქართველოს ვიცე-პრემიერს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილსა და საამიროების სახელმწიფო მინისტრის აჰმედ ალ-საელს შორის შეხვედრის მსვლელობისას.**

ლევან დავითაშვილის განცხადებით, არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები უფრო და უფრო ვითარდება. მისი თქმით, მიმდინარე წელს ოფიციალურად დაიწყება მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შესახებ.

**„საამიროები მაღალ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დროულად გაფორმებას და ამიტომაც, მათ მიიღეს გადაწყვეტილება მოლაპარაკებების წელს დაწყებასთან დაკავშირებით. ეს კიდევ უფრო წაახალისებს ქვეყანათა შორის სავაჭრო ურთიერთობებს და ახალ ბიძგს მისცემს საინვესტიციო პროექტებს“,** — განაცხადა დავითაშვილმა.

**„ვფიქრობ, რომ ძალიან ინტენსიური, მაღალი დონის დიალოგის რეჟიმში ჩვენ შევძლებთ, რომ არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უფრო განვავითაროთ“,** — განაცხადა ვიცე-პრემიერმა და პრიორიტეტული მიმართულებებად დაასახელა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, უძრავი ქონება, სასტუმრო ინფრასტრუქტურა და სხვ. მისი თქმით, საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, ვისაც უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აქვს, რაც წაახალისებს ტურისტულ ნაკადებს ორივე ქვეყნიდან.

## საქართველოს მთავრობა



# ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დასაწყებად საკონსულტაციო ჯგუფებს დავიქირავებთ

**ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ლევან დავითაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დასაწყებად საკონსულტაციო ჯგუფებს დაიქირავებს.**

როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ დავითაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, პორტის მშენებლობის საკითხით რამდენიმე მსხვილი ინვესტორია დაინტერესებული, მათ შორის, აბუ დაბის, სპარსეთის ყურის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

**„იცით, რომ მთავრობამ დღეს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც განისაზღვრა ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის ოპერირების და გადმოცემის შესახებ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელების ეტაპები. ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობდით რამდენიმე თვის განმავლობაში. იცით, რომ სამინისტროში არსებობს სსიპ „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო“ და მასთან მუშაობის შედეგად მოვამზადეთ კერძო და საჯარო თანამშრომლობის კანონმდებლობის შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოები. ეს კანონმდებლობა ითვალისწინებს რამდენიმე ეტაპს, მათ შორის, პროექტის იდენტიფიცირება, შემდგომი ინიცირება, მომზადება, კერძო პარტნიორის შერჩევა, პროექტის განხორციელების შემდგომი შეფასება. ანაკლიის პროექტი ამ კანონმდებლობის ამოქმედებამდე იყო ინიცირებული, მაშინ გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა ინვესტორის შესარჩევად. 2014 წელს. ახლა ახალი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოვახდინოთ პროცედურების გავლა, მაგრამ ჩვენი შეფასებით, იდენტიფიცირების და ინიცირების ეტაპები გავლილია, შესაბამისად, შეგვიძლია მაქსიმალურად მოკლე დროში, პროექტის განსახორციელებლად დავაჩქაროთ პროცესი და პირდაპირ დაიწყოს კერძო პარტნიორების შერჩევის ეტაპიდან. ამისთვის ჩვენ გვჭირდება, რომ შერჩევის პირობები მაღალ დონეზე მომზადდეს. აქედან გამომდინარე, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სამინისტროს საშუალება მიეცეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საკონსულტაციო ჯგუფი ან ჯგუფები დავიქირაოთ ამ პროცესში მონაწილეობისთვის. იცით, რომ მაღალი დონის საპროექტო სამუშაოები ჩატარებულია, რაც ხელმისაწვდომია, ასევე ჰოლანდიური საკონსულტაციო კომპანია MTBS-ის მიერ ჩატარდა ეკონომიკური კვლევა, მათ შორის მოხდა ღრმაწყლოვან პორტზე ტვირთნაკადების პროგნოზის შეფასება, ალტერნატიული სცენარების კონკრეტული გაანალიზება, ასევე ფინანსური და ბიზნესმოდელების გაანალიზება და განახლება. ვფიქრობ, დღეს ხელთ გვიჭირავს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს სწორად ჩამოვაყალიბოთ პირობები და ასევე შევარჩიოთ სწორი პარტნიორი პროექტის განვითარებაში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, სწორად იყოს განსაზღვრული მოდელი, თუ რა ფორმით იქნება სახელმწიფოს მხრიდან საჯარო მონაწილეობა პროექტის განხორციელებაში. ვფიქრობთ, ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა პროექტი წარმატებულად განხორციელდეს და მივიღოთ ის შედეგი რაც გვინდა — გვინდა გვქონდეს თანამედროვე საპორტო ინფრას-**



# საარჩევნო რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი

## „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადება

**როგორც** მოგეხსენებათ, ხელისუფლება აქტიურად მუშაობს ევროკავშირის მიერ დადგენილი 12-პუნქტიანი გეგმის განხორციელებაზე, რომლის ერთ-ერთი პუნქტი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ გადასინჯვას შეეხება.

შესაბამისი რეფორმის განსახორციელებლად, საქართველოს პარლამენტში შექმნილია სამუშაო ჯგუფი გივი მიქანაძის ხელმძღვანელობით. სამუშაო ჯგუფის მიერ უახლოეს მომავალში შემუშავდება კანონპროექტების პაკეტი, რომელიც, არსებითად, ეუთოოდირის რეკომენდაციებს და სამუშაო ჯგუფში პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობით განხილულ თემებს დაეფუძნება.

სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი წინადადებების ნაწილი საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას ეხებოდა. ამასთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება 2024 წლიდან ელექტრონული აპარატურის გამოყენებით ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და ხმის მიცემის წესის ფართოდ დანერგვის შესახებ.

გასულ წელს, სრულად ელექტრონული აპარატურის გამოყენებით ჩატარდა ხმის მიცემის პროცედურა ქალაქ თბილისის კრწანისის რაიონში. წელს, ელექტრონული აპარატურის გამოყენებით შედგა საკრებულოს შუალედური არჩევნები ბათუმის მუნიციპალიტეტის რვა საარჩევნო უბანზე. თანამედროვე ტექნოლოგიებით ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და ხმის მიცემის წარმატებული გამოცდილება გვაძლევს საშუალებას, ეს ინიციატივა 2024 წლიდან ფართო მასშტაბით დავნერგოთ.

კერძოდ, ჩვენი გადაწყვეტილებით, საარჩევნო უბნების უმრავლესობაში, მათ შორის ყველა ქალაქსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტში, რაც ამომრჩეველთა სულ მცირე 70 პროცენტს მოიცავს, ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ხმის მიცემა ელექტრონული აპარატურის გამოყენებით განხორციელდება.

ელექტრონული ხმის მიცემა საბოლოოდ გაამყარებს საზოგადოების ნდობას ხმების დათვლის პროცესის მიმართ, აღმოფხვრის საარჩევნო ოქმებში დისბალანსის პრობლემას, სამუდამოდ დაასრულებს სპეკულაციებს ე.წ. საარჩევნო კარუსელებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს ამომრჩეველთა 70 პროცენტზე მეტის ხმების დათვლასა და შედეგების გამოქვეყნებას კენჭისყრის პროცესის დასრულებიდან რამდენიმე წუთში, ასევე მოხსნის ეგზიტპოლებისა და ხმების პარალელური დათვლის (ე.წ. „პივიტის“) გაყალბებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

შესაბამისად, ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება იქნება საარჩევნო რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, რომელიც არჩევნების შედეგების გარშემო მანიპულირების პრობლემას მინიმუმამდე შეამცირებს.

ჩვენს ინიციატივას უახლოეს დღეებში მიეცემა კანონპროექტის სახე, რის შემდეგაც, საქართველოს მთავრობასთან, ცესკოსთან და დარგის ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე, გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები საარჩევნო უბნების ხმის მიცემის აპარატურით აღჭურვისათვის.

ტრუქტურა, რომელიც ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გამოყენებას ემსახურება, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ემსახურა, რა თქმა უნდა, ტვირთნაკადს საქართველოს კორიდორში კიდევ უფრო გაზრდის, ასევე მოგვცემს საშუალებას ლოჯისტიკური ოპერაციები ვაწარმოოთ. ჩვენ სწორად უნდა ჩამოვაყალიბოთ პირობები და სწორი პარტნიორი შევარჩიოთ ამ პროცესში, თუმცა, დაინტერესება საკმაოდ დიდია. მიმდინარე წელს არაერთი შეხვედრა გვქონდა, მათ შორის, ძალიან მსხვილი აბუ დაბის პორტების წარმომადგენლობით დელეგაციასთან, რომლებიც ადგილზე გაეცნენ პროექტს, დღესაც გვაქვს სპარსეთის ყურის დელეგაციებთან შეხვედრები და განხილვები. ასევე მთელი რიგი ვიზიტები იყო ცენტრალური აზიის ქვეყნებში, რომელთაც ასევე აინტერესებთ ეს პორტი“...



# ალეკო ელისაშვილი: ძველი საანგარიშოებითა და დომინოს ქვებით თვლა დამთავრდა...



**დასრულდება ეპოქა, როცა არჩევნებზე ხმების დასათვლელად საანგარიშოებს ახრიგინებდნენ, ითვლიდნენ ან ვერ ითვლიდნენ და იყო დიდი დავიდარაბა — თუ „ქართული ოცნება“ ელექტრონულ სისტემას შეიძენს, საარჩევნო დღის მაიმუნობები ისტორიას ჩაბარდება,** — ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ წევრმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.

**„რუსთავსა და ბათუმში ჩატარებულ შუალედურ არჩევნებზე ოპოზიციას არც ერთი საჩივარი არ დაუწერია, იმდენად ეფექტურია ელექტრონული ხმის მიცემის პროცედურა“,** — განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

# ნინო ფოჩხუა: „ქართულმა ოცნებამ“ დაასრულა სპეკულაციები არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით



**„ეს არის საარჩევნო რეფორმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, 12-პუნქტიანი გეგმის შემადგენელი! ფაქტიურად ამ გადაწყვეტილებით „ქართულმა ოცნებამ“ დაასრულა სპეკულაციები ამ თემასთან დაკავშირებით.**

**რაო „ისფედმა“, ველარ გავაყალბებ პარალელურ დათვლას და ვერც ეგზიტპოლებსო? ახლა ნეტავ რას მოუძებნიან ამ კანონპროექტს, ალბათ დენს გათიშავენ და რუსული აპარატურით მოხდება ხმების დათვლაო?**

**არც ეს გამიკვირდება. ამ კანონპროექტით კი „ქართულმა ოცნებამ“ დაამტკიცა, რომ ლიდერია და ამ ფორმით არჩევნების ჩატარებით, გამარჯვებული“...**

ასე გამოეხმაურა ექსპერტი ნინო ფოჩხუა „ქართული ოცნების“ ინიციატივას საქართველოში არჩევნების ელექტრონულად ჩატარების შესახებ.

# ჩვენი ზნეობის გამმრუდებელნი

## 80 მილიონი მიუღია მხოლოდ 3 ენჯეოს 7 წელში, ტაში!



**კიდევ ბევრი არასამთავრობოა, ოღონდ ესენი ყველაზე მდიდრები ყოფილან: გამყალბებელი ISFED, არამკითხე მოამბე „საია“ და კაპიტანი გიგაურის ე.წ. გამჭვირვალობა. საიას დირექტორს ეკითხებიან, თანხების ხარჯვა საიტზე არ გაქვთ სრულად ასახულიო და პიარს დაურეკეთო, პიარსო, ყველაფერი არ მახსოვსო. ენჯეოებსაც თავისი პიარები ჰყოლიათ?! რას აპიარებთ?!**

**თუ დასჭირდათ, ძუყნურის რწმუნებული რომელ ფეხზე დგება, ის იციან და საკუთარი ენჯეოების ხარჯები არ ახსოვთ. 80 მილიონში მილიონი იქით, მილიონი აქეთ, რა იციან ზეპირად?! მხოლოდ დონორებთან ვართ პასუხისმგებლები, მედია ვინ ჩვენი ფეხები ხართო?!**

**პარალელური დათვლის გაყალბებაზეც დონორებთან ხართ პასუხისმგებელნი, თუ ქართველ ხალხსაც გვეხება?!**

**ჩვენს ქვეყანაში აწყობთ რევოლუციებს, გვმოძღვრავთ, ჭკუას გვასწავლით, მორალს გვიკითხავთ, უკაცრავად, მორალს გვიმრუდებთ, ჰოდა ანგარიშვალდებულნი სხვებთან ხართ?! ჰოდა, კარგად გააუთოვეთ თქვენი ანგარიშები და...**

**ჩვენს ჟურნალისტებს ფანტაზია არ ჰყოფნით, ამ ბუსუსებიან თაღლითებს კითხვა შეუტრიალონ: ეს თქვენი 80 მილიონი იმ 6 მილიარდში შედის, საქართველოს და ქართველი ხალხის დახმარებად რომ ითვლება, ბიძინა ივანიშვილის 3 მილიარდის საპირწონედ რომ გაახმოვანეს ახლახანს.**

**შესაბამისად, თუ ეს თქვენ მიერ ყალთაბანდობაში, ბარიკადებზე დგომაში, ოპოზიციონერობაში„ სრულიად არაგამჭვირვალედ („იმედის კვირის“ სიუჟეტზე დაყრდნობით) დახარჯული 80 მილიონი ჩვენს დახმარებად ითვლება, ზუსტად რომ პასუხისმგებელნი ხართ მედიას ამომწურავად უპასუხოთ. მორალურად, თორემ კანონით რომ უკონტროლოდ შეგიძლიათ ხარჯოთ გარედან მიღებული ათეულობით მილიონი, ვიცით. ჰოდა, მივიღოთ ამერიკული კანონი გარედან დაფინანსებულების შესახებ, რათა ვიცოდეთ, ვის ვინ აფინანსებს“.**

**ამირან სალუქვაძე**

# რუსთავში მოქალაქეთა მომსახურების ახალი ცენტრი შენდება

**მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე პროექტი, უკვე აქტიურ ფაზაშია. მშენებლობის პროცესს, ქალაქის მერი ნინო ლაცაბიძე, ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებთან და რუსთავის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების წევრებთან ერთად ერთად, ადგილზე გაეცნო.**

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 430 კვადრატული მეტრი ფართობის ერთსართულიანი შენობა, მეგობრობის გამზირზე შენდება. მშენებლობის დასრულების შემდეგ, რუსთავის მერიის მუნიციპალური სერვისების მიღებას, მოქალაქეები ახალი სერვისცენტრიდან შეძლებენ.

# ფოთში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს

**ფოთში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 100 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. ფოთის მერიის ინფორმაციით, ახალი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ბარათაშვილის ქუჩაზე შენდება. გარდა შიდა ინფრასტრუქტურისა, კეთილმოეწყობა ეზოც. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.**

მიმდინარე სამუშაოები ქალაქის მერმა ბექა ვაჭარაძემ, ფოთის მაჟორიტარ დეპუტატთან ირაკლი ხახუბიასთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან, ალექსანდრე ტყებუჩავასთან ერთად დაათვალიერა. პროექტს ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. სამუშაოებს კომპანია „პრაიმ ბეტონი“ ასრულებს და მისი ღირებულება შეადგენს 3 884 993 ლარს.

ვინ – ვის?!

# გამარჯვების ეიფორია და ტაში ცუდი სამსახურია!



**„თუ ტექნიკის რაოდენობის და ხარისხის თვალსაზრისით ბალანსი იქნება, მაშინ უკრაინას ეს წარმატებას მოუტანს…**

**უკრაინელმა სამხედროებმა რაც ხარკოვის ოლქის დასახლებები დაიბრუნეს, ოლქიდან რუსული წარწერები და დროშები ქრება. ხარკოვისა და ხერსონის ოლქებს ოკუპანტები ტოვებენ. კრემლში ამტკიცებენ, რომ ეს ტაქტიკური უკანდახევაა, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ტაქტიკური უკანდახევის დროს, რუსეთს უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო ტექნიკა და ჯარისკაცები რჩება, რომლებიც უკრაინელი სამხედროების ტყვეობაში არიან. ამბიციური გეგმა აქვს და მის აღსრულებაში დარწმუნებულია უკრაინის პრეზიდენტი.**

**ვოლოდიმირ ზელენსკი ამბობს, რომ მალე მისი სამშობლო ყველა ოკუპირებულ ტერიტორიას დაიბრუნებს.**

**მიდის თუ არა ომი დასასრულისკენ? – ამ თემაზე სამხედრო ანალიტიკოსი, ამირან სალუქვაძეს გვესაუბრება.**

**– რუსმა ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს და უკრაინის შეიარაღებული ძალები წინ მიიწევენ. ნიშნავს ეს იმას, რომ უკრაინა გამარჯვებისკენ მიდის?**

– ღმერთმა ქნას, რომ გამარჯვებისკენ წავიდეს, მაგრამ საქმე ასე მარტივად არაა. რუსეთს ოკუპირებული ჰქონდა უკრაინის ტერიტორიის 20%, ანუ დაახლოებით 120 ათასი კვ/კმ. პრეზიდენტ ზელენსკის განცხადებით, ამ კონტრშეტევის შედეგად, გათავისუფლებული იქნა 2 ათასი კვ.კმ. შესაბამისად, წინ კიდევ ბევრი ბრძოლაა გასავლელი და ბევრი მსხვერპლია გასაღები. თუმცა, სტრატეგიული ინიციატივა უკრაინის მხარესაა და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ომის დროს მართალი და ცრუ ინფორმაციების შეფასება საკმაოდ ჭირს. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაციები რუსეთის სამზადისის, გეგმების შესახებ. ამიტომ, ვისაც უკრაინის წარმატება სურს, ეიფორია და ტაში ცუდი სამსახურია. მეტი სიფხიზლე და მეტი სამხედრო გონიერება მართებს უკრაინას და მის პარტნიორებს. რა თქმა უნდა, გარკვეული შეფასებების გაკეთება შეიძლება. ფაქტობრივად, გარკვეულ მონაკვეთზე, ფრონტი დაახლოებით 100 კმ-მდეა გადაწეული. ეს გარკვეულ რისკებსაც ქმნის, მოწინავე ქვედანაყოფების ლოჯისტიკის მხრივ. მსგავსი რუსეთს დაემართა კიევთან. იმედია, უკრაინა თავის პარტნიორებთან ერთად რისკებს აფასებენ.

**– უკრაინამ ამ წარმატებას რის ხარჯზე მიაღწია?**

– რაც შეეხება, თავად ამ წარმატების მიზეზს, აქ ორ მომენტს გამოვყოფდი – ერთი, დასავლური დახმარების გააქტიურება. ომის დასაწყისში უკრაინა რუსეთს დამოუკიდებელი ძალებით უმკლავდებოდა. ვიხილეთ რუსეთის სწრაფი შემოჭრა და ტერიტორიის მეხუთედის დაკავება. ამ ნახევარი წლის განმავლობაში უკრაინა რეზერვს აქტიურად ამზადებდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე პარტნიორ სახელმწიფოებში, პლუს ტექნიკის მხრივ, საკმაოდ სერიოზულ დახმარებას იღებს. ომის დაწყების პირველ თვეებში ვამბობდი, რომ უკრაინას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა მეტი მძიმე ტექნიკა, მეტი შეიარაღება. ეს შეიარაღება ნელ-ნელა მოდის და ბრძოლაში ერთვება. დახმარების მასშტაბებმა ბოლო პერიოდში იმატა. უკრაინელები რუსებს ბრძოლისუნარიანობაში არ ჩამოუვარდებიან. ასევე მათ მორალური უპირატესობა აქვთ, ისინი საკუთარ მიწაზე იბრძვიან და საკუთარ მიწას ათავისუფლებენ. თუ ტექნიკის რაოდენობის და ხარისხის თვალსაზრისით ბალანსი იქნება, მაშინ უკრაინას ეს წარმატებას მოუტანს. ძალიან მნიშვნელოვანია ამ კუთხით დახმარების გაძლიერება. მუდმივად ვიღებთ ინფორმაციებს ფინანსური დახმარების გამოყოფაზე – დამატებით 11,2 მილიარდი დოლარი ჯო ბაიდენმა გამოყო უკრაინისთვის და ალბათ, დახმარებები შემდგომშიც გაგრძელდება. სამხედრო ტექნიკის გამოყოფის მხრივ ევროპისა და ნატოს წევრი ქვეყნები გააქტიურდნენ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შედეგებს გამოიღებს. ვიმეორებ, ჩვენ არ ვიცით რა მდგომარეობაშია და რა გეგმები აქვს რუსეთს. ფრონტი ძალიან დიდია. ამ ფრონტისთვის იქ არსებული ჯარი არაა საკმარისი, ამიტომ რუსეთს უწევს რეზერვების გადასროლა ერთი მიმართულებიდან მეორეზე. იგივეს აკეთებს უკრაინაც, მაგრამ ბოლო პერიოდში უკრაინამ მოახერხა რეზერვის მობილიზება. პლუს არ უნდა დავივიწყოთ სამხედრო ხელოვნება. მთელი თვის განმავლობაში ყველა ელოდა ხერსონის მიმართულებით უკრაინის მხრიდან კონტრშეტევას და ეს კონტრშეტევა დაიწყეს. რუსეთს მოუწია ხერსონისკენ აღმოსავლეთის ფრონტიდან რეზერვების გადასროლა და შემდეგ ვიხილეთ უკრაინის შეტევა აღმოსვლეთის მიმართულებით. როგორც ჩანს, ეს მოულოდნელი აღმოჩნდა რუსეთისთვის. რუსეთს უკან მოუწია ძალების გადმოსროლა, თუმცა დროში დააგვიანდა. ე.ი. ამ ნაწილში უკრაინის სამხედრო ტვინმა უკეთ იმუშავა.

**– უკრაინის ბოლო დღეებში განვითარებული ასეთი წარმატების ფონზე შეიძლება ითქვას, რომ 200-დღიანი ომი დასასრულისკენ მიდის?**

– ჩვენ ადრე მოვისმინეთ და ახლაც განაცხადა პრეზიდენტმა ზელენსკიმ, რომ უკრაინისთვის წამგებიან პირობებში ის მოლაპარაკებაზე არ წავა. ომის საწყის პერიოდში ეს განწყობა უკრაინას ჰქონდა, მაგრამ როდესაც დახმარებასთან დაკავშირებით მყარი დაპირებები მიიღო, დღეს ამ პოზიციაზე დგანან – ტერიტორიების დეოკუპაციის გარეშე უკრაინა მოლაპარაკებაზე არ წავა. არც რუსეთი მიდის დათმობებზე, ამიტომ საბრძოლო მოქმედებები გაგრძელდება. რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ჩიხურ სიტუაციაში საფრთხილოა. საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობაა მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით გაეროსი, რათა ეს ომი არ გადაიზარდოს სხვა უფრო სერიოზულ საფრთხეში.

**– ევროპას ელექტროენერგიის პრობლემა აქვს უკვე, დამარცხების შემდეგ შეიძლება, რომ რუსეთმა საერთოდ გადაუკეტოს ევროპას გაზი?**

– ევროპა ამერიკასთან ერთად გარკვეულ ზომებს იღებს. ფასების შეზღუდვებზეა საუბარი, რაზეც რუსეთის მხრიდან მუქარებიც იყო – თუ მათთვის მიუღებელი წინადადება იქნებოდა, გაზს საერთოდ არ მიაწვდიდნენ. რთულია დღეს პროგნოზირება თუ როგორ გავლენას იქონიებს ევროპისთვის ენერგოკრიზისი. ამ თემასთან დაკავშირებით, ბოლო დღეებში უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში აქციები მიმდინარეობს. ევროპელი ლიდერები მზადყოფნას გამოთქვამენ და მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ მძიმე ზამთარი ექნებათ. დეკემბერში რა მოხდება, ან იანვარში, დღეს რთული სათქმელია. სეზონი ახლა იწყება. გასაგებია, რომ რუსეთის გათვლა სწორედ ეს იყო – საბრძოლო მოქმედებები დროში გაეწელა, რითაც გაზისა და ელექტროენერგიის კრიზისით მოახდენდა ევროპაზე გავლენას. ამიტომაც უკრაინის გააქტიურება სიცივეების დადგომამდე, მნიშვნელოვანია, რათა ზამთრისთვის ფრონტზე მეტ წარმატებას მიაღწიონ. თუ უკრაინის სამხედრო კამპანია წარმატებული იქნება, რომელიც კონტრშეტევით დაიწყო და მან განვითარება ჰპოვა, ევროპის შიდა ვითარებაზე და განწყობებზე სერიოზულ გავლენას მოახდენს. ევროპელ ლიდერებს სათქმელი ექნებათ, რომ მიღწეული შედეგი ღირდა ამ გაჭირვების გადატანად. დღეს ევროპა სერიოზულ ზომებს იღებს ეკონომიასთან დაკავშირებით. მაგალითად შვეიცარიაში ეკონომიის რეგულაციების დარღვევის გამო, კერძოდ, ბინებში ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 19 გრადუსს, რაზეც 3 წლამდე ციხე, ან ძალიან მაღალი ჯარიმები დააწესეს. ასე რომ, დღეს ეს მუქარა უკვე ნაკლებად მუშაობს. თუმცა, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**ესაუბრა**
**ქეთი გიორგაძე**

## ირაკლი კობახიძე: ხალხს უნდა ვკითხოთ, უნდათ მეორე ფრონტი საქართველოში, თუ არ უნდათ!

**სამწუხაროდ, უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნები ვერ მალავენ, მათი გაცხადებული სურვილია, რომ საქართველოში გაიხსნას მეორე ფრონტი და ჩაერთოს იმ სამხედრო კონფლიქტში, რომელიც ამჟამად უკრაინაშია,** – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ. კობახიძე აღნიშნავს, რომ ეს არის ძალიან ღია გზავნილი.

**„კიდევ ერთხელ გავიმეორებ – არ ვიცი, ეს გზავნილი საზოგადოების წინაშეც არის ალბათ, ჩვენ შეგვიძლია, ჩავატაროთ გამოკითხვა, პლებისციტი, ხალხს უნდა თუ არა, რომ საქართველოში გაიხსნას მეორე ფრონტი. რასაც იტყვის ხალხი, იმას შეიძლება გავყვეთ, ვნახოთ. ხალხმა მიიღოს ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, ეთანხმება უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, თუ ეთანხმება ჩვენს პოზიციას მეორე ფრონტის არგახსნასთან დაკავშირებით“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ. კობახიძის თქმით, უკრაინის არაერთმა მაღალი რანგის ჩინოსანმა გააკეთა შესაბამისი განცხადებები და მათ პირდაპირ თქვეს, რომ მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში იყო სასურველი.

## უკრაინა აშშ-სა და მოკავშირეებს დამატებით შეიარაღებას სთხოვს...

**უკრაინა აშშ-სა და მოკავშირეებს დამატებით შეიარაღებას სთხოვს რუსეთის წინააღმდეგ გრძელვადიანი კონტრშეტევისთვის.**

უკრაინულმა მხარემ ამერიკელ კანონმდებლებს გაუზიარა იმ შეიარაღების სია, რომელსაც აშშ-ისგან ითხოვს. სიაში არის ტაქტიკური სარაკეტო სისტემები ATACMS, რომელთა მოქმედების რადიუსი 300 კილომეტრია. გამოცემა აღნიშნავს, რომ აქამდე ვაშინგტონმა უარი თქვა უკრაინისთვის აღნიშნული შეიარაღების მიწოდებაზე რუსეთის პროვოცირების რისკის გამო.

ამერიკელი კონგრესმენებისთვის გადაცემული სია მოიცავს შეიარაღების ათობით სახეობას, რომლებიც, კიევის განცხადებით, საჭირო იქნება 2023 წელს კონტრშეტევის გასაგრძელებლად. კერძოდ, ტანკები, უპილოტო აპარატები, საარტილერიო სისტემები, ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები Harpoon, ასევე „ჰაიმარსის“ ტიპის საარტილერიო სარაკეტო სისტემებისთვის განკუთვნილი ორი ათასი რაკეტა. შეიარაღების ახალი მოთხოვნა მომზადდა ხარკოვისა და ხერსონის ოლქებში უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმატებული კონტრშეტევის ფონზე, რომლის შედეგადაც, უკრაინამ ათობით დასახლებულ პუნქტზე დაიბრუნა კონტროლი.

## „ფორბსი“ რუსეთის დანაკარგს ითვლის...

**6-11 სექტემბრის პერიოდში უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთის კუთვნილი, 670 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკა გაანადგურეს. ტექნიკის ძირითადი ნაწილი განადგურებულია ხარკოვის ოლქში უკრაინის კონტრშეტევის დროს,** – შესაბამის ინფორმაციას გამოცემა „ფორბსის“ უკრაინული რედაქცია ავრცელებს.

გამოცემა ეყრდნობა უკრაინის გენერალური შტაბის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს. **უკრაინის გენშტაბის ცნობით, აღნიშნულ პერიოდში განადგურებულია 2 850 დამპყრობელი და ტექნიკის 590 ერთეული. მტრის დანაკარგი ასე გამოიყურება – 86 ტანკი და 158 საბრძოლო ჯავშანმანქანა, 106 საარტილერიო სისტემა, 159 ავტომობილი და სხვა ტექნიკის 46 ერთეული.**

**რუსეთის ყველაზე ძვირადღირებულ დანაკარგებს შორისაა რადიოელექტრონული კომპლექსი „მოსკვა-1“, რომლის ღირებულება 57 მილიონი დოლარია და რომელიც უკრაინულმა ძალებმა ზაპოროჟიეს ოლქში გაანადგურეს. ასევე, ხარკოვის ოლქში ოკუპანტებმა დაკარგეს გამანადგურებელი-ბომბდამშენი „სუ-34“, რომლის ღირებულება 36 მილიონი დოლარია, ასევე რადიოლოკაციური სისტემა „ზოოპარკ-1მ“, რომელიც 25 მილიონ დოლარად ფასდება.**



# 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებას სკოლები მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდებიან



**საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2022-2023 სასწავლო წელი 15 სექტემბერს დაიწყება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, სწავლის დაწყების პირველ დღეს ყველა საჯარო სკოლაში საქართველოს ჰიმნი გაჟღერდება და დროშა აღიმართება. ახალ სასწავლო წელს სკოლები მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდებიან.**

საქართველოს სკოლებში პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით 632 726 მოსწავლე ისწავლის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, პირველ კლასში დარეგისტრირების შესაძლებლობა მიეცათ ბავშვებს, რომლებსაც 6 წელი 30 სექტემბრის ჩათვლით შეუსრულდებათ. 2022-2023 სასწავლო წლისთვის საქართველოს სკოლებში ქვეყნის მასშტაბით ჯამში 55 717 პირველკლასელი დაიწყებს სწავლას, მათ შორის, 1 868 ბავშვი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველკლასელთა რეგისტრაციის წესში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე ჩაირიცხა. პირველკლასელთა გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით, სამინისტრომ დამატებით უზრუნველყო სკოლების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსითა და ინვენტარით აღჭურვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით, საჯარო სკოლების ყველა მოსწავლე კვლავ უზრუნველყოფილია წიგნებითა და რვეულებით. ახალი სასწავლო წლისთვის საქართველოს საჯარო სკოლების პირველკლასელები და მათი დამრიგებლები მიიღებენ პორტაბელურ კომპიუტერებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის ინიციატივით, 2022-2023 სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში „საქართველოს ისტორია" დამოუკიდებელ საგნად შეისწავლება. ამ მიზნით, ისტორიკოსებით დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ გადაიხედა საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის სტანდარტი და განხორციელდა ახალი სახელმძღვანელოს გრიფირება. შედეგად, ახალგაზრდები საშუალო საფეხურზე საქართველოს ქვეყნის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე უწყვეტად, სიღრმისეულად შეისწავლიან.

**ახალი სასწავლო წლიდან მიხეილ ჩხენკელის გადაწყვეტილებით, მოსწავლეები ჭადრაკს პირველ კლასში სავალდებულო საგნად შეისწავლიან. ზაფხულის განმავლობაში, სამინისტროსა და ჭადრაკის ფედერაციის თანამშრომლობით, ჭადრაკის საერთაშორისო დიდოსტატებითა და ოსტატებით დაკომპლექტებულმა ტრენერთა ჯგუფმა გადაამზადა 4000 პედაგოგი. ამასთან, მომზადდა შესაბამისი სასწავლო რესურსი, რომელიც სასკოლო ბუკებში ჩაიტვირთება.**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, 2022-2023 სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებში ახალი საგანმანათლებლო პროექტის „სამხედრო საქმის" პილოტირება იწყება, რომელშიც მაღალმთიანი რეგიონების 18 სკოლის საბაზო საფეხურის (VII-IX კლასის) 300-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთვება. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს კვირაში ერთხელ გაკვეთილს სპეციალურად გადამზადებული მოქმედი სამხედრო ოფიცრები ჩაუტარებენ.**

გარდა ამისა, ფართოვდება საგანმანათლებლო პროექტის „თავდაცვა და უსაფრთხოება" მასშტაბები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს პარტნიორობით, პროექტის პილოტირების პროცესში დამატებით 18 ბენეფიციარი ჩაერთო და გადამზადდა როგორც 12 ყოფილი სამხედრო მომსახურე, ასევე, გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის 6 ინსტრუქტორი. გადამზადებული პირები სკოლის მოსწავლეებს არჩევითი კურსის – „თავდაცვა და უსაფრთხოება" ფარგლებში აუმაღლებენ ცოდნას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: სამოქალაქო უსაფრთხოება, შესაძლო საფრთხეების წყაროები, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა, პირველადი დახმარების მეთოდები, საქართველოს თავდაცვის სისტემა და თავდაცვის ძალების საქმიანობა.

სკოლებში თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმთავრეს პრიორიტეტს მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

**ამ მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, იწყება 1 მილიარდი ლარის ღირებულების მასშტაბური პროექტი, რომელიც 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციას გულისხმობს. პროექტის პირველი ეტაპი მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაიწყება და ტენდერი 80 ახალი სკოლის მშენებლობასა და 320 სკოლის რეაბილიტაციაზე გამოცხადდება. დარჩენილი 400 სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი კი 2023-2024 წლებში გამოცხადდება და 2026 წლის ბოლოსთვის, ჯამში, 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება.**

**პროექტი საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობასა და მათ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. მისი განხორციელებით 230 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს. შედეგად, 2026 წლის ბოლოსთვის ყველა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინფრასტრუქტურულად გამართული იქნება.**

აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციისა და ახალი სკოლების მშენებლობის დროს გათვალისწინებულია მათი აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, მოეწყობა თანამედროვე ლაბორატორიები, გაიმართება სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიმართულებით. ყველა სკოლა მთლიანად ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის ინიციატივით, მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, ახალი სასწავლო წლიდან 150 საჯარო სკოლაში საპილოტე პროგრამა განხორციელდება, რომლის ფარგლებში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის სპორტის სახეობების ჩამონათვალს სავალდებულო მიმართულებად „რაგბი" დაემატება. ე.წ. „ტაგ რაგბი" ანუ უკონტაქტო რაგბი მოიცავს ისეთ ვარჯიშებს, რომლებიც რაგბის ელემენტების გამოყენებით მოსწავლეების ფიზიკური განვითარებისთვის არის მნიშვნელოვანი. ამ ეტაპზე, საქართველოს რაგბის კავშირთან თანამშრომლობით, სპორტის მასწავლებლების გადამზადების პროცესი მიმდინარეობს. პროგრამის განხორციელების შედეგად, სკოლებს ექნებათ საშუალება, სასკოლო სპორტულ ფესტივალში „ტაგ რაგბის" მიმართულებითაც მიიღონ მონაწილეობა.**

სამინისტრო აგრძელებს მუშაობას მოსწავლეების ხარისხიანი სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიმართულებით. ახალი სასწავლო წლისთვის X კლასის მოსწავლეები ყველა საგანში მიიღებენ ახალ, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს. 2022-2023 სასწავლო წლიდან პირველად თბილისის, რუსთავის, ქუთაისისა და ბათუმის 50 სკოლის V-VI კლასების 4000-მდე მოსწავლე საპილოტე რეჟიმში მაკმილანის მათემატიკის ბილინგვური სახელმძღვანელოებით ისწავლის, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების სააზროვნო უნარების განვითარებას და დაეხმარება მათ პრაქტიკაში ინგლისური ენის გამოყენებაში. საპილოტე პროგრამის ფარგლებში ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე თავად მაკმილანის წარმომადგენლების მიერ შემუშავებული გადამზადების კურსი 60-ზე მეტმა ინგლისურის მცოდნე მათემატიკის მასწავლებელმა გაიარა. მატერიალური სახელმძღვანელოს გარდა, პროექტი მოიცავს სასწავლო პროცესში სწავლების მართვის სისტემის ინტეგრირებას, რაც მისცემს საშუალებას მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ელექტრონულად მართონ საკუთარი ანგარიშები და თვალი ადევნონ პროგრესს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საშუალო საფეხურს დაემატა სავალდებულო პროექტებით სწავლება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკასა და სამოქალაქო განათლებაში. აღნიშნული მიდგომა მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას შეუწყობს ხელს. პროექტის შერჩევა მოსწავლეებთან შეთანხმებით, მათი ინტერესების გათვალისწინებით მოხდება და მისი განხორციელება შესაძლებელი იქნება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად. 2022-2023 სასწავლო წლიდან ყველა სკოლის II-VI კლასების მოსწავლეებისთვის კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება სავალდებულო ხდება და დაწყებითი კლასებიდანვე შეისწავლება პროგრამირების ელემენტები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებში ალგორითმული აზროვნებისა და ტექნოლოგიური უნარების განვითარებასა და გაძლიერებას.

ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება STEAM კლუბები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროექტს შექმნიან და ექნებათ შესაძლებლობა სასკოლო პროექტები STEAM კონფერენციაზე წარმოადგინონ.

**მნიშვნელოვანია, რომ 2022 წლის სექტემბრიდან დაიწყება სკოლების მრავალმხრივი მხარდაჭერა ავტორიზაციის პროცესის გასავლელად. ამ ეტაპზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 80%-მა უკვე დაასრულა თვითშეფასება, დარჩენილი სკოლები კი პროცესს მიმდინარე წლის ბოლომდე დაასრულებენ. თვითშეფასების შედეგების საფუძველზე სკოლებისთვის შეთავაზებული იქნება მიზნობრივი აქტივობები, მოსამზადებელი ტრენინგები, დამხმარე გზამკვლევები. აღსანიშნავია, რომ სამუშაო პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიცირებული სპეციალისტების ჩართულობით, განხორციელდება სკოლების მხარდაჭერა ადგილზე. ქვეყნის მასშტაბით სკოლების მრავალმხრივი მხარდაჭერის პროცესში 100-ზე მეტი სპეციალისტია ჩართული.**

41 არაქართულენოვანი სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის სწავლება ბილინგვური მიდგომით განხორციელდება, რაც ქართული ენის შესწავლის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ბილინგვური მიდგომა მშობლიური ენის სწავლების გაძლიერებას, ქართული ენისა და საგნის ინეტგრირებულად სწავლებას გულისხმობს. 2022 წელს პირველად, არაქართულენოვანი სკოლების მშობლიური ენის მასწავლებლებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებში კვალიფიკაციის დადასტურების გამოცდა ჩატარდა, რაც მათ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე აისახება.

2022-2023 სასწავლო წლიდან მოსწავლეები ახალ პროექტში „აფხაზეთის დღეები" ჩაერთვებიან, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, აფხაზეთისთვის მიძღვნილ კვირეულში მიიღონ მონაწილეობა და თავიანთი შეხედულებები, დამოკიდებულებები ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელოვნებო, ტექნოლოგიური, ლიტერატურული, შემოქმედებითი პროექტით გამოხატონ.

**15 სექტემბრიდან ყველა სკოლისთვის კვლავ ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული ჟურნალი, რაც მასწავლებლებს ხელს შეუწყობს ელექტრონულად აღრიცხონ მოსწავლეების დასწრება და შეფასება.**

**ახალი სასწავლო წლიდან ასევე ამოქმედდება ახალი ონლაინ პლატფორმა chaerte@mes.gov.ge, რომელიც მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შესაძლებლობას მისცემს, სასწავლო პროცესის შესახებ გაეცნონ საჭირო ინფორმაციას, მონაწილეობა მიიღონ გამოკითხვებში, დააფიქსირონ თავიანთი იდეები/მოსაზრებები და აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული პლატფორმა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდას შეუწყობს ხელს.**

მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლისთვის თბილისში, 220-ივე საჯარო სკოლაში, კიდევ ერთი უკრაინულენოვანი სექტორი დაფუძნდა და გაფართოვდა ბათუმის მე-20 საჯარო სკოლის უკრაინულენოვანი სექტორიც. ფორმალური სასწავლო გეგმის ფარგლებში უკრაინულენოვანი სექტორის მოსწავლეები სწავლობენ როგორც სავალდებულო, ისე ფაკულტატიურ საგნებს. უკრაინულ საგნებთან ერთად ბავშვები შეისწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას და საგანს „ჩვენი საქართველო". უკრაინულენოვანი სექტორის ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სწავლისათვის საჭირო სასკოლო რესურსებითა და ბუკებით.

როგორც მოგეხსენებათ, გასულ სასწავლო წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, მიხეილ გრუშევსკის სახელობის თბილისის 41-ე და ბათუმის მე-20 საჯარო სკოლებში უკრაინულენოვანი სექტორი დაფუძნდა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მოსწავლეები, რომლებიც უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების შედეგად ვერ აგრძელებენ ზოგადი განათლების მიღებას უკრაინის სკოლებში და გამოხატავენ სურვილს, სწავლა გააგრძელონ საქართველოში, სკოლებში გამარტივებული წესით ირიცხებიან. ამ დროისათვის არსებული მონაცემებით, თბილისსა და რეგიონებში, სხვადასხვა ასაკის 2000-ზე მეტი მოსწავლე უკვე ჩარიცხულია. თბილისსა და ბათუმში უკრაინულენოვან სექტორზე ამ ეტაპზე 1400-ზე მეტი ბავშვია დარეგისტრირებული.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ახალი სასწავლო წლიდან დამატებით კიდევ 73 საჯარო სკოლას ეყოლება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური. ასევე, იზრდება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკების რაოდენობა, რომლებიც სკოლის მოსწავლეებს, მათ მშობლებს, პედაგოგებსა და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს საჭირო სოციალურ მომსახურებას გაუწევენ. 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს განათლების სისტემის სოციალურ მუშაკთა რაოდენობა 110-მდე გაიზრდება.

**2021-2022 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 3 ახალი საჯარო სკოლა აშენდა, ხოლო 237 საჯარო სკოლას სრული, ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, აჭარის რეგიონში აშენდა 4 ახალი საჯარო სკოლა, სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია კი 28 სკოლას ჩაუტარდა. რაც შეეხება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, 2019 წლიდან დღემდე რეგიონებში 106 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია დასრულდა, კიდევ 39 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია წლის ბოლომდე განხორციელდება.**

აღსანიშნავია, რომ 60-მდე საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო, სასწავლო წელი განსხვავებული თარიღით, ან ფორმატით – ჰიბრიდულ, ან დისტანციურ რეჟიმში, ან ალტერნატიულ ფართში/ახლომდებარე სკოლებში დაიწყება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლების ადმინისტრაცია დროულად უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მშობლის ინფორმირებას.

2022-2023 სასწავლო წელს, რეგიონის სკოლების მხარდაჭერის ფარგლებში, განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მოსწავლეებისთვის გაგრძელდება ტრანსპორტირების პროგრამა.



# 1. ბნელი გვირაბის ბოლოს რაღაც სინათლე ჩანს!

**სამყარო თვალსა და ხელს შუა იცვლება და საქართველოც, დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, ფეხდაფეხ მიჰყვება ამ აჩქარებულ გარდაქმნას. გონივრული მზადება ასეთ მასშტაბურ ცვლილებებთან გასამკლავებლად სწორი საქციელი იქნებოდა ჩვენის მხრივ. საერთაშორისო პოლიტიკით დაკავებულ მოაზროვნეთა უმრავლესობა ერთხმად გვეუბნება, რომ თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება ეპოქალური ძვრების წინაშეა, ანუ, ახლანდელი მსოფლიო წესრიგის გამალებული გადახედვა და მის ნაცვლად რაღაც სრულიად განსხვავებულის შექმნის პროცესი მიდის. სამეცნიერო ისტორიოგრაფია გვკარნახობს, რომ ძალიან ახალი, უცნაური და მოულოდნელი ამაში არაფერია, რადგან ასეთი რამ დაახლოებით 100 წლის წინაც მოხდა, როცა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ტექნოლოგიურმა სიახლეებმა რადიკალური ცვლილებები გამოიწვია მაშინდელი საზოგადოების ცხოვრებაში, რამაც, პრინციპში, კაცობრიობა გადაარჩინა, შექმნა სრულიად განახლებული ეკონომიკური გზისი მსოფლიოს შემდგომი განვითარებისთვის.**

იმ რთულ და ყოვლისმომცველ პროცესში, საქართველოსაც ჰქონდა თავისი ზომისა და წონის შესაბამისი როლი, მაგრამ გეოპოლიტიკური ორიენტაციის ძიებით გამოწვეული ის ჩვენი თავისტკივილი ჯერაც არ ცხრება. რუსეთის მიერ კოლონიზებული და, ბოლოს, ანექსირებული ეს ჩვენი პატარა საქართველო, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის მოლოდინში, გაუთავებელი **პოლიტეკონომიკური კრუნჩხვებით იტანჯებოდა,** ყოველთვის აღიზიანებდა რა რუსეთს სახელმწიფო სუვერენიტეტისადმი დაუოკებელი ჟინითა და მისწრაფებით, რაც ბოლოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მეზობელთან სისხლიანი კონფლიქტითა და თავისი ძირძველი მიწის ერთი მესამედის დროებით დაკარგვით დასრულდა. ეს აუტანელი სტატუს-კვო კი, რომელიც თავზე გვაქვს მოხვეული, თითქოს, ქვაშია ამოკვეთილი და ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის ყველა თაობის მმართველს უსუსურად აგრძნობინებს თავს რაიმე საგრძნობი ცვლილების მიმართ ჩვენი გულგაწყალებული და მუდმივად მომლოდინე ხალხის სასარგებლოდ. საქართველოს მწარე გამოცდილება აქვს რუსეთთან ურთიერთობაში, და ამ, თითქოსდა, ოდნავ დამშვიდებულ და შედარებით ნეიტრალურ, თუმცა, მაინც მღელვარე ვითარებაში, ნებისმიერი ნაბიჯი, შეიძლება, სახიფათო და შეცდომებით სავსე აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველო ჩაბმულია ამ ორმაგ და სამმაგ გეოპოლიტიკურ თამაშებში, რომელშიც, წარსულ და მიმდინარე ისტორიულ ვითარებათა გამო, უნებლიეთ ვართ ჩათრეული.

**და მაინც, იგრძნობა, რომ მომავალი ახალი მსოფლიო წესრიგი ჯერ კიდევ ბნელი გვირაბის ბოლოს რაღაც სინათლეს გვიმზადებს. რუსულ-უკრაინულმა კრიზისმა საერთაშორისო არენაზე სოლიდური ფონი შექმნა ეროვნული ინტერესებისა და გეოპოლიტიკურ მისწრაფებათა ჯახისთვის.** ამ ფონზე, ალბათ, პოლიტიკური უმწიფრობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ეს ომი მართლა ორ სახელწიფოს შორის კონფლიქტია, რომელიც უკვე რუსეთსა და მთელ დასავლეთ სამყაროს შორის დაპირისპირებად იქცა. შექმნილ ვითარებაში საქართველო ფეხაკრეფით მოძრაობს, რომ, როგორმე, უკრაინაში მოგიზგიზე ცეცხლის ხაზებს თავი აარიდოს. ღრმა და რაციონალური პასუხი იმაზე, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი და როგორ აღმოჩნდა მსოფლიო ამ ორომტრიალში, პოლიტმეცნიერებას ჯერ არ გაუცია, თუმცა, შექმნილი ჩიხის ცალკეული განმარტებები პოლიტიკურ ლიტერატურაში ხანდახან გაიელვებს. საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ამერიკის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის საპატიო ხელმძღვანელის, ანტონი კორდსმენის აზრი, რომელიც ამბობს, რომ ამერიკის რეაქცია უკრაინის ომზე, მიმართული უნდა იყოს იმ რეალობისკენ, რომლის მიხედვით გლობალიზმი და სამყაროს დასავლურის იდეა სახიფათო ილუზია აღმოჩნდა. ამერიკის რეაქცია უფრო შორს უნდა მიდიოდეს, ვიდრე, მხოლოდ ნატოს სუსტ მხარეებზე წუხილი. ამერიკა თავს უფლებას ვერ მისცემს, კონცენტრაცია მხოლოდ ერთ მუქარაზე, ან მხოლოდ ერთ რეგიონზე გააკეთოს. **ამერიკას არ აქვს უფლება დაკარგოს მისი მთავარი სტრატეგიული პარტნიორები მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში, ან თვალი მოხუჭოს მათ მიმართ. ამერიკის გეგმებში, უფრო მეტად, მისი მსოფლიო ძალად დარჩენის აუცილებლობა უნდა შედიოდეს, სადაც მისი მშვიდობისდროინდელი მოქმედება მთელ მსოფლიოში გადამწყვეტი რამ იქნება ომების თავიდან აცილებასა და მისი ზოგადი სტრატეგიული ინტერესების მიღწევაში, ვიდრე, მისი ყურადღების გადართვა ერთ რომელიმე რეგიონზე ან რეგიონის ერთ რომელიმე პატარა ნაწილზე.** ეს მხოლოდ ერთი ცალკეული აზრია და ერთი რომელიღაც განწყობა. მსგავსი მეცნიერული აზრები ხშირად გაისმის ხოლმე მსოფლიოში, მაგრამ ჯერ არცერთ მათგანს არ მოუპოვებია იმხელა პატივისცემა, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქციოს. ამგვარად, **არ არის გასაკვირი, რომ ისეთი პატარა მოთამაშე, როგორიც საქართველოა, ფრთხილად და თავშეკავებით იქცეოდეს და ეძიებდეს თავის გადარჩენის ყველაზე გამართლებულ გზებს გიგანტთა ამ დაპირისპირების პროცესში, მითუმეტეს, რომ ომს ჯერ კიდევ არ უჩანს ბოლო. ყველაფერი ისევე ბუნდოვანია, როგორც დასაწყისში, და არც არავინ აკეთებს თამამ პროგნოზს მისი შედეგების შესახებ, ერთ ან მეორე მხარეს პროპაგანდით დაკავებული ადამიანების გარდა.** შედარებით სანდო სპეციალისტები კი, გვეუბნებიან, რომ ამ საერთაშორისო ჯახში, მოგებული დარჩება ის, ვინც ააშენებს ახალ ეკონომიკას, შეინარჩუნებს არსებულ სოციალურ და სახელწიფო სისტემას და იზრუნებს თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რასაც, ვფიქრობ, საქართველო, დღეს, ხელს არ აკლებს. აქამდე, ნამდვილად ავარიდეთ თავი ყოველგვარ ტურბულენციას, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სამშვიდობოს გავედით უკვე. ამდროს, არსებობს დასაფასებელი წინათგრძნობაც და წინამძღვრებიც, რომ მოდის ახალი გეოპოლიტიკური გათვლები, ახალი მსოფლიო წესრიგი, ახალი ეკონომიკა და ახალი სოციალური პოლიტიკა, რისთვისაც მშვიდად და მეთოდურად უნდა ვიყოთ მზად. ერთხელ მაინც ჩვენს უახლეს ისტორიაში! საქართველოს განახლებული ნიშა, თითქოს, გამოჩნდა მოვლენათა ასეთი განვითარების ფონზე, და მომავალი, ალბათ, ქვეყნის იმ ლიდერებსა და პოლიტიკურ ძალებს ეკუთვნით, ორივე მხარეს, ვინც გამოიცნობს, თუ რა სჭირდება ერს ყველაზე მეტად ასეთი გლობალური გარდაქმნის დროს, და შესაბამისად მოიქცევა.

# 2. ავღანეთს ისევ ბანდიტური დაჯგუფებები ხრავს!



**წარმოსადგენადაც კი ძნელია, ამდენი ხანია, რას უძლებს ავღანეთის მიწა და ხალხი. თაობები იბადება, იზრდება და იხოცება შინაურისა თუ გარეულის მიერ გაჩაღებულ ავღანურ ომებში. ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკისა და ნატოს ჯარებმა ავღანეთი დატოვეს და ქვეყნის მართვა ხელში თალიბების ცნობილმა მოძრაობამ აიღო, რომელიც საკუთარ ხალხსაც და მსოფლიოსაც დიდი ამბით შეჰპირდა მშვიდობასა და წყნარ ცხოვრებას. სინამდვილეში, არაფერი მსგავსი არ მომხდარა. დღე ისე არ გავა, რომ რაღაც ტერაქტი ან შეიარაღებული შეტაკება არ მოხდეს. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა ამ რამდენიმე დღის წინ ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში, რუსეთის საელჩოზე განხორციელდა. აფეთქება მაშინ მოხდა, როცა ავღანეთის მოქალაქეები რუსეთის საელჩოში ვიზის აღებას ცდილობდნენ. ტერაქტის შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა და ბევრი დაშავდა. დაღუპულთა შორის, ორი რუსი დიპლომატია.**

თითქოს, ავღანეთის სინამდვილისთვის უჩვეულო არაფერი მომხდარა, მაგრამ ტერაქტმა საერთაშორისო დონის მსჯელობა გამოიწვია, და აი, რატომ. თალიბების ხელისუფლებაში მოსვლამდეც, ტერაქტები, დიპლომატიური მისიების, განსაკუთრებით, დასავლეთის ქვეყნების საელჩოთა წინააღმდეგ, ყოველთვის ეწყობოდა ხოლმე. რუსეთის საელჩო, რომელიც სხვა ქვეყნების მისიებიდან მოშორებითაა განთავსებული ქალაქში, წლების განმავლობაში თავდასხმა არ განხორციელებულა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ეს ტერაქტი რუსეთის წინააღმდეგ გამიზნულად და ორგანიზებულად მოეწყო. ამ დროის, რუსეთი ცდილობს თალიბებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. ამერიკის ჯარის გასვლის შემდეგ, რუსეთმა ერთ-ერთმა პირველმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა თალიბების მთავრობასთან. თალიბების დელეგაცია კი, ხშირად სტუმრობს ხოლმე, კრემლს. ზუსტად ამ რამდენიმე კვირის წინ იყვნენ მოსკოვში, სადაც მოლაპარაკება გაიმართა რუსეთისგან ხორბლის, გაზისა და ნავთობის შესყიდვის შესახებ. მაშ, რაში დასჭირდათ თალიბებს რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა, ან ვინ მოაწყო ეს ტერაქტი. ავღანეთის მთავრობის განცხადებით, ტერაქტი ისლამურმა სახელმწიფომ მოაწყო. ვერსია, თითქოს, დამაჯერებელია, რადგან თალიბანის მმართველობის დროს, ისლამური სახელმწიფოს ბოევიკების რიცხვმა 6000-ს გადააჭარბა. ოდნავ უცნაური ისაა, რომ თალიბები ისლამურ სახელმწიფოსთანაც თანამშრომლობენ და შეუთანხმებლად ასეთი რამ არ მოხდებოდა. რაც შეეხება თალიბების პირობას მშვიდი ცხოვრების შესახებ, ის კარგა ხანია დარღვეულია.

ავღანეთი ისევ ექსტრემისტული დაჯგუფებებისა და ტერორისტების თავშესაფრად იქცა. ყველაფერთან ერთად, მათ ოპიუმის წარმოებაც გაზარდეს. რუს ანალიტიკოსებს ავღანეთის ოფიციალური ვერსიის არ სჯერათ. მათი აზრით, თვით თალიბანის შიგნითაა კონფლიქტური დაჯგუფებები, რომელიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. ამბობენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დაჯგუფების ლიდერი შინაგან საქმეთა მინისტრი ხაკანია. რუსები ფიქრობენ, რომ სწორედ მან მოაწყო ტერაქტი, რომლითაც რუსეთსა და თალიბების სხვა დაჯგუფებებსაც მესიჯი გაუგზავნა, რომ მის გარეშე ვერაფერი ვერ მოგვარდება. ეს ტერაქტი რუსეთისთვის სხვა რამესაც ნიშნავს, ანუ არსებობს ეჭვი, რომ თალიბანი ცენტრალური აზიის ქვეყნებში განლაგებულ თავის საძმო ჯგუფებს ეხმარება. რუსეთის სამხედრო მანქანა კი, ცდილობს ეს ჯგუფები გაანეიტრალოს. ერთი სიტყვით, ამ ტერაქტით თალიბანის რადიკალურმა ფრთამ, შეიძლება ითქვას, რუსეთს მუქარა გაუგზავნა. ფაქტია, რომ ტერაქტის შემდეგ რუსეთის საელჩო ძველებურად ვეღარ იმუშავებს. ეტყობა, რუსეთისთვის, კარგი ავღანური პერიოდი დასრულდა, რადგან, რუსეთის დიპლომატიური მისია ამ დაუსრულებელი მღელვარების ეპიცენტრში აღმოჩნდა. თავდასხმამ აჩვენა, რომ თალიბანის რეჟიმმა ვერ შესძლო რუსეთის საელჩოს უსაფრთხოების დაცვა, რის გამოც, შესაძლოა, მოსკოვს თალიბების მიმართ სტრატეგიის გადახედვა მოუწიოს. ამ ერთი წლის განმავლობაში, რუსეთმა არათუ არ გააძლიერა თავისი პოლიტიკური პოზიციები ავღანეთში, არამედ, პირიქით, შესუსტდა კიდეც. დღეს ავღანეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მოსკოვის გავლენა ერთობ უმნიშვნელოა.

# 3. რუსეთი გორბაჩოვს მიწასთან ასწორებს!

**იყო ასეთი ეპოქა – საბჭოთა! დღეს, შეგნებულად რომ გახსოვდეს მისი ავკარგი, ორმოცდაათს მაინც უნდა იყო მიღწეული. ის აწ უკვე გარდასული და თითქმის მონელებული ხანა, თავის მხრივ, ცალკე ეპოქებად იყოფოდა: ლენინის, სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევისა და ბოლოს, გორბაჩოვის. აი, ის გორბაჩოვი, რომელმაც, ნებსით თუ უნებლიეთ, საბჭოეთი რომ წააქცია და გააქრო თვალის დახამხამებაში, რამდენიმე დღის წინ, 91 წლის ასაკში გარდაიცვალა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი. მისი გარდაცვალება მსოფლიოს მომენტალურად მოედო, იმიტომ რომ, თავის დროზე, მართლა მსოფლიო სახელისა და დიდების კაცი იყო, თუმცა, ისტორიაში ერთმანეთისგან კატეგორიულად განსხვავებული ორნაირი შეფასებით შევიდა, დადებითითაც და უარყოფითითაც.**

დასავლეთი აქებს და ადიდებს; საკუთარი სამშობლო, რუსეთი კი, მიწასთან ასწორებს, თან, ისე, რომ არც მის ხსოვნას დაგიდევს და არც მის ნაღვაწს. მსოფლიოს პოლიტიკოსებმა, განსაკუთრებით, დასავლელმა, მწუხარება გამოთქვეს მისი გარდაცვალების გამო. ამერიკის პრეზიდენტმა თეთრი სახლის ოფიციალურ გვერდზე გორბაჩოვის გარდაცვალების შესახებ განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია: მსოფლიოს ისტორიაში იშვიათია ლიდერი, რომელმაც სხვაგვარი მომავლის შესაძლებლობა დაინახა. ამის მისაღწევად საკუთარი კარიერა გარისკა და შედეგად, მილიონობით ადამიანისთვის თავისუფლება და უფრო უსაფრთხო მსოფლიო მოიტანა. სხვა საკითხია, გორბაჩოვს ეს შეგნებულად გამოუვიდა თუ უნებლიეთ, მაგრამ მის პატივსაცემად გერმანიაში, სახელწიფო შენობების თავზე, დროშები რომ დაუშვეს, ესეც ფაქტია. რაც შეეხება რუსეთის მთავრობას, გორბაჩოვს, როგორც ერთი ჩვეულებრივი სახელმწიფო მოღვაწე, ისე დაკრძალა და არა როგორც დიდი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი და მსოფლიო მასშტაბის გეოპოლიტიკურ გარდაქმნათა შემოქმედი. ერთი ყვავილიც კი არავის მიუტანია მისი სახლის სადარბაზოსთან მოსკოვში. არც იმ ქუჩის გადაკეტვა გახდა საჭირო, სადაც მისი ცხედარი გამოასვენეს ცნობილი კოლო-



ნებიანი დარბაზიდან. გორბაჩოვის სიკვდილით, ალბათ, პოსტსაბჭოთა სივრცეში ცივი ომის მომდევნო ეპოქა დაიხურა. ამ წელს წავიდნენ ამ ქვეყნიდან დამოუკიდებელი უკრაინისა და ბელორუსიის პირველი მეთაურები, შუშკევიჩი და კრავჩუკი. ეს იმ კომუნისტ-პოლიტიკოსთა პლეადაა, ვინც გორბაჩოვის გარდქმნას ზუსტად აუღო ალღო და ახალმოვარდნილი კაპიტალიზმისა და დემოკრატიის დანერგვასა და განვითარებას შეუდგნენ თავთავიანთ ქვეყნებში. სხვათაშორის, ამ ტიპის ერთ-ერთი ლიდერი იყო ქართველი შევარდნაძეც...

გორბაჩოვის დროს საბჭოთა კავშირში პირველად დაუშვეს სიტყვის, სინდისისა და მეწარმეობის თავისუფლება. მსოფლიოს მოედო იმ რეფორმების ორი მთავარი რუსული სიტყვა: гласность – საჯაროობა, და перестройка – გარდაქმნა. დასავლეთმა დიდი ენთუზიაზმითა და ცნობისმოყვარეობით აიტაცა პოსტსაბჭოთა პოლიტიკა, მაგრამ მაინც რისკისა და მანიპულაციის ზღვარზე მიმდინარე თამაშად ჩათვალა ეს იდეოლოგიური სიახლე, რომელმაც, შეძლებისდაგვარად, ეკონომიკაშიც შეაღწია. შესაბამისად, შეიცვალა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაც, რომლის მთავარი საყრდენი გორბაჩოვისა და შევარდნაძის აწყობილი თანამშრომლობა გახდა. მათი ეფექტური ტანდემის მიზანი ცივი ომის დასრულება და დასავლეთთან მჭიდრო კავშირის დამყარება იყო. მართლაც ასე მოხდა. სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ორი ბანაკი, საბჭოთა და დასავლური, განიარაღებისკენ გადაიხარა. საბჭოთა და ამერიკელმა ლიდერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებებს შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. მსოფლიოში მშვიდობის დამყარების რეალური შეგრძნება და შესაძლებლობა გაჩნდა. დაინგრა ბერლინის კედელი და გაერთიანდა მეორე მსოფლიო ომის შედეგებით გახლეჩილი დოიჩლანდი. დაემხო კომუნისტური რეჟიმები ევროპაში... და ითვლება, რომ არაფერი მსგავსი არ მოხდებოდა გორბაჩოვის მიერ მოტანილი გარდაქმნა რომ არა, რის გამოც რუსეთის ბევრმა გამოჩენილმა პოლიტიკოსმა გორბაჩოვი მწვავედ გააკრიტიკა და მას ქვეყნის მოღალატე უწოდა. გამწარებულ კრიტიკოსებს გორბაჩოვმა უპასუხა, მე დავუბრუნე გერმანიას გერმანია და პოლონეთს – პოლონეთიო. გორბაჩოვის მიმართ კრიტიკული გამოსვლები დღესაც გრძელდება რუსეთში, რომელიც მასთან გამოთხოვების ჟამსაც კი არ დამცხრალა. ვინ იცის, რა ფიქრებმა გაიელვა ვლადიმირ პუტინის თავში, გორბაჩოვის კუბოსთან და მის სურათთან განმარტოებით რომ იდგა. მაგრამ რუსეთის პრეზიდენტი ამ მნიშვნელოვანი რუსის დაკრძალვას არ დასწრებია. მკვლევარებისთვის, საყურადღებოა მიხეილ გორბაჩოვის პოლიტეკონომიკური მიდგომები, რომელიც მას ისტორიულ შეცდომებად ჩაეთვალა. გორბაჩოვი ფიქრობდა, რომ საბჭოთა კავშირი კი არ უნდა დაშლილიყო, არამედ, კონფედერაციად გარდაქმნილიყო. სოციალიზმისაც სწამდა. ყველაფერთან ერთად, ისიც ხაზგასამულია, რომ მან სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ისე გაუშვა თავისუფლების გზაზე, მათ შორის, საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობა, რომ სისხლი არ დაუღვრია. რუსეთში კი, სულ სხვა სული და გონი ტრიალებს. ბევრმა ვერ აპატია გორბაჩოვს მისი რეფორმებით გამოწვეული რყევები. ბევრი მათგანისთვის, დემოკრატია არ ღირდა ცხოვრების დონის ასე მკვეთრ გაუარესებად და საბჭოთა ქონების ასე ველურად დასატაცებლად. ერთხელ, ჰენრი კისინჯერმა შარლ-დე-გოლზე თქვა, ის წარსულის ადამიანიცაა და მომავლისაცო. ვინძლო, გორბაჩოვის ნაღვაწსაც დაამშვენებდა ეს სიტყვები. სადღაც ისიც წამიკითხავს, რომ ერთმა დასავლელმა ავტორმა მას რუსეთის ჰამლეტი უწოდა. ამასაც ისტორია შეაფასებს. ერთ რამეზე კი, მან ნამდვილად მიუთითა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, რომ ძალაუფლების გადაბარება ნებით და მშვიდობიანად შესაძლებელია. საინტერესო რამ თქვა ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა, დიმიტრი მურატოვმა: გორბაჩოვმა სამყარო შეცვლა. საკუთარი ქვეყანა კი, ვერა. მან დიდი საჩუქარი გაუკეთა თავის ქვეყანასაც და მსოფლიოსაც. ოცდაათი წელი ვცხოვრობდით ბირთვული ომის საფრთხის გარეშეო. სწორედ რომ მშვიდობისთვის ერგო მიხეილ გორბაჩოვს 1990 წლის ნობელის პრემია...



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV

# პატრიცია დელონის პოეტური კრებულის „და ესეც გაივლის" წარდგინება და ნახატების გამოფენა



**თბილისის ზღვაზე მდებარე კომპლექს „საქართველოს მატიანეს" ტერიტორიაზე პატრიცია დელონის პოეტური კრებულის „და ესეც გაივლის" პრეზენტაცია და ნახატების გამოფენა გაიმართა. ახალი პოეტური კრებულიდან ლექსები მოწვეულ სტუმრებს ავტორის გარდა, ელდინო საღარაძემ, მანანა ლეგაშვილმა და იოანე ქართველმა წაუკითხეს.**

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი ლექსების თემატიკა ქართულ-ებრაულ მეგობრობას, საქართველოს და თბილისის სიყვარულს ეხებოდა. შემოქმედებითი საღამო მუსიკალურად თემურ ყვითელაშვილმა გააფორმა. ღონისძიებაზე პრემიერაც შედგა. ნათია ქოროღლიშვილმა პატრიცია დელონის მიერ დაწერილ ლექსსა და მელოდიაზე შექმნილი სიმღერა შეასრულა.

**გარდა ამისა, დელონის შემოქმედებით საღამოზე მიწვეულმა სტუმრებმა თეატრალიზებული კოსტიუმირებული სანახაობა, სიმღერა, ქართული ქორეოგრაფია და ნახატების გამოფენა იხილეს. საღამოს ცნობილი ხელოვანები, კულტურისა და განათლების სამინისტროს, თბილისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები დაესწრნენ.**



ღონისძიება საქველმოქმედო იყო და შემოსული თანხას პატრიცია დელონი ხობის რაიონის სოფელ თორსაში ასიათასი მოწამის სახელობის ეკლესიის მშენებლობის დასრულებისა და ებრაელთა სასაფლაოს კეთილმოწყობისთვის გამოიყენებს. აღნიშნულ ღონისძიებაზე დასასწრებად ისრაელიდან და იტალიიდან საპატიო სტუმრები ჩამოვიდნენ.

**პატრიცია დელონი წლების წინ შვილთან ერთად ისრაელიდან საქართველოში დაბრუნდა. ის ათ ენაზე საუბრობს და ლექსებსაც რამდენიმე ენაზე წერს. აღნიშნული პოეტური კრებული რიგით მეექვსეა.**

დელონის შემოქმედებაზე არაერთი რეცენზიაა დაწერილი ლიტერატორებისა და კრიტიკოსების მიერ, რომლებიც დადებითად აფასებენ მის პოეზიას. რაც შეეხება ნახატებს, პატრიცია დელონს ორ ჯგუფურ გამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული და ორი პერსონალური გამოფენა აქვს მოწყობილი.

# კაცხის სვეტის მშვენიერება

## BBC საქართველოს პილიგრიმული ტურიზმის შესახებ წერს

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, გავლენიანი ბრიტანული გამოცემის ჟურნალისტმა პრიანკმა შანკარმა საქართველოში იმოგზაურა და მკითხველს იმერეთში მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა.**

სტატიაში აღწერილია ჭიათურის მუნიციპალიტეტში მდებარე კაცხის სვეტი და მონასტერი, რომელიც უამრავ ტურისტს იზიდავს.

**„თბილისიდან 220 კილომეტრი ვიმგზავრე და საოცარი ქვის სტრუქტურა აღმოვაჩინე. მანამდე დიდი ხნის განმავლობაში აღფრთოვანებული ვიყავი ბერძნული მეტეორაზე მდებარე მონასტრით, რომელიც ბუნებრივი კლდის ბასრი სვეტებით გამოირჩევა. შემდეგ შევიტყვე საკმაოდ ორიგინალური მონასტრის შესახებ, რომელიც საქართველოში მდებარეობს და აქ მოსახვედრად ბერებს აძრომა სჭირდებათ. კაცხის სვეტზე მდებარე მონასტერში ბერები საუკუნეებია ცხოვრობენ, დღეს ეს ადგილი მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის პილიგრიმულად საინტერესოა, კაცხის სვეტი უამრავ ტურისტს იზიდავს".**




სტატიაში აღწერილია ბერების ცხოვრება და კაცხის სვეტის მონასტრის აღდგენის ისტორია.

**„ისტორიკოსების ვარაუდით, ბერებმა კაცხის სვეტზე მოღვაწეობა დაახლოებით მე-10 საუკუნიდან დაიწყეს. ოსმალების შემოსევის დროს ბერები სვეტზე აღარ ადიოდნენ. მონასტრის მდგომარეობა 1944 წლამდე ბურუსით იყო მოცული. სწორედ ამ წელს კაცხის სვეტზე ქართველი მწერლები ლევან გოთუა და აკაკი ბელიაშვილი, არქიტექტორი ვახტანგ ცინცაძე და ალპინისტი ალექსანდრე ჯაფარიძე აძვრნენ, მათ ეკლესიის ნანგრევები აღმოაჩინეს. ექსპედიციის წევრებმა ეკლესიის ნანგრევებთან ერთად სამ კელიას და ღვინის მარანსაც მიაკვლიეს.**

**მონასტრის ხელახალი აღმოჩენიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, 1990-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დახმარებით, ბერმა მაქსიმე ქავთარაძემ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ტაძარი აღადგინა. დამონტაჟდა 40-მეტრიანი ლითონის კიბე",** – წერს BBC-ის ჟურნალისტი.

# „შემოქმედებითი თბილისის" მეორე ეტაპი დაიწყო

**თბილისის მერიის მიერ დაარსებულ კონკურსზე – „შემოქმედებითი თბილისი" განაცხადების მიღების მეორე ეტაპი დაიწყო. კონკურსი ოთხ მიმართულებას მოიცავს: საგამომცემლო საქმიანობა; დიზაინი და რეწვა; ვიზუალური ხელოვნება (ინსტალაცია, მხატვრობა, ფოტოგრაფია და სხვა); მედია ხელოვნება.**

**გასულ წელს თბილისი გახდა იუნესკოს „შემოქმედებითი ქალაქების ქსელის" (UCCN) წევრი მედია ხელოვნების მიმართულებით, რაც ახალ შესაძლებლობას აძლევს ამ სფეროში დასაქმებულ ხელოვანებსა და ორგანიზაციებს, როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო მასშტაბით. აღნიშნულმა მოვლენამ ასახვა ჰპოვა 2022 წლის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კონკურსში – „შემოქმედებითი თბილისი" და გაჩნდა ახალი, პრიორიტეტული მიმართულება – მედია ხელოვნება, რომელიც თავის მხრივ, ბევრ აქტუალურ მიმდინარეობას მოიცავს. საკონკურსო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 24 სექტემბერი.**





# „შემსმენი სახელმწიფოს“ გონიერი პრეზიდენტი

## ყაზახეთი სწორი მიმართულებით აგრძელებს სვლას

**ყაზახეთის პრეზიდენტი ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი მტკიცე ნაბიჯით აგრძელებს თავისი ქვეყნის განვითარებას დემოკრატიის გზაზე. ამას მოწმობს სახელმწიფოს ლიდერის რეფორმები, რომლებმაც პოლიტიკის, ეკონომიკისა და, რაც მთავარია, სოციალური ცხოვრების მრავალი სფერო მოიცვა.**

მცოდნე და გამჭრიახი პოლიტიკოსი ტოკაევი, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობებში მუშაობის უზარმაზარი გამოცდილება აქვს, ყაზახეთის მოქალაქეების მაღალი ნდობით სარგებლობს. გასაკვირი არ გახლავთ, რომ თავისი კარიერის არაერთი წლის განმავლობაში, მას ქვეყნის მართვისთვის მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა: მუშაობდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ყაზახეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უკვე ამ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, შემდეგ — ყაზახეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ორჯერ იქნა არჩეული რესპუბლიკის პარლამენტის სენატის თავმჯდომარედ, ხოლო 2008 წელს — ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად.

**2011 წლის მარტში ტოკაევი დაინიშნა გაეროს გენერალური მდივნის მოადგილედ, ჟენევაში გაეროს განყოფილების გენერალურ დირექტორად, ასევე გაეროს გენერალური მდივნის პირად წარმომადგენლად განიარაღების კონფერენციაზე. ეკავა განიარაღების კონფერენციის გენერალური მდივნის თანამდებობა, არჩეულ იქნა დსთ-ს საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოსა და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარედ.**

**2019 წლის მარტში ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა ფიცი დადო ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რანგში, იმავე წლის ივლისში კი გაიმარჯვა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე, მიცემული ხმების 70,96%-ით. როგორც ჩვენი არაერთი კოლეგა აღნიშნავდა, რომლებიც იმჟამად ყაზახეთში საერთაშორისო დამკვირვებლებად და ექსპერტებად იმყოფებოდნენ, ეს მოწმობს მოსახლეობის მხრიდან ტოკაევის მუშაობის დადებით შეფასებას და მასთან დაკავშირებულ იმედებს.**

ამა წლის იანვრის ტრაგიკულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ყაზახეთს ძლიერი ლიდერი ჰყავს, რომელსაც ხალხმა თავისი ბედი უპირობოდ მიანდო. ამ ამოცანას მან დიდებულად გაართვა თავი, როდესაც ხელცარიელი დატოვა არეულობების წამქეზებლები და მათ უკან მდგომი მეთოჯინეები. ლიდერმა, ხალხთან ერთად, უმოკლეს ვადებში მიიღო სწორი გადაწყვეტილებები და ქვეყანა კრიზისიდან მინიმალური დანაკარგებით გამოიყვანა.

**მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტოკაევის ხელმძღვანელობით, ყაზახეთი მშვიდობიან და მრავალვექტორულ პოლიტიკას ახორციელებს, აქვს მეგობრული ურთიერთობები მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან. ამჟამინდელი პრეზიდენტის რეფორმები მიმართულია არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ძირეული გარდაქმნებისკენ, არამედ მთლიანად, ყაზახეთის საზოგადოების დემოკრატიზაციისკენ. ბევრი ამ რეფორმათაგანი ნამდვილად მოასწავებს ამ ქვეყნის ისტორიაში ახალი ერის დადგომას. ასე მაგალითად, ივნისის თვეში, საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმზე მიღებული საკონსტიტუციო რეფორმა ეხება ყაზახეთის მოქალაქეების ცხოვრების და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს სფეროებს. კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებების თანახმად, ყაზახეთი მმართველობის სუპერსაპრეზიდენტო ფორმაზე უარს ამბობს და პარლამენტის როლი ძლიერდება, პრეზიდენტისგან უფლება-მოსილებათა ნაწილის მასზე გადასვლის გზით. პრეზიდენტის ნათესავებს ეკრძალებათ მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავება. გაბათილდა ყაზახეთის პირველი პრეზიდენტის განსაკუთრებული როლის დებულებები და მისი პრივილეგიები, რაც მეტად კარგად მიიღეს ქვეყნის ოპოზიციურმა ძალებმა, რომლებიც, მათი აზრით, „ელბასის პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ. საზოგადოებამ დიდი ენთუზიაზმით მიიღო სიკვდილით დასჯის გაუქმებაც.**

რეფორმის სხვა პუნქტებს შორის არის მაჯლისის სადეპუტატო კორპუსის ფორმირება შერეული საარჩევნო სისტემით, სენატში საპრეზიდენტო კვოტების შეკვეცა. ცვლილებები მართლაც წონადია, ვინაიდან, მაგალითად, მაჟორიტარული სისტემა, ამომრჩეველთა სურვილის შემთხვევაში, დეპუტატის უკან გაწვევის საშუალებას იძლევა. ჩამოყალიბდა მუხლი, რომ მიწა და მისი წიაღისეული ხალხს უნდა ეკუთვნოდეს.

გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტმა აბდულა შაჰიდმა, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ყაზახეთს მიმდინარე წლის 11 აგვისტოს ეწვია, ტოკაევის რეფორმებს მაღალი შეფასება მისცა. მისი თქმით, მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები საშუალებას იძლევა, ადამიანის უფლებების დაცვა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ყაზახეთში სრულიად ახალ დონეზე ავიდეს.

**ამ დღეებში (13-15 სექტემბერს) ქვეყანა უმასპინძლებს გლობალურ ღონისძიებას - მსოფლიო და ტრადიციული რელიგიების ლიდერთა მორიგ კონგრესს, რაც აშკარად მიუთითებს ხელსაყრელ ინტერკონფესიურ და ინტერრელიგიურ გარემოზე ყაზახეთში. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა გაეროს, კონგრესის თანმიმდევრული მხარდაჭერისთვის. თავის მხრივ, გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მომავალი ღონისძიება ყველაზე მნიშვნელოვანი პლატფორმაა და მაღალი შეფასება მისცა დაგეგმილი ღონისძიების დონეს.**

როგორც გაეროს იდეების მიმდევარმა, ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არაერთხელ გაუსვა ხაზი მსოფლიო ორგანიზაციის განსაკუთრებულ როლს გლობალური მშვიდობის, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში. ა. შაჰიდთან შეხვედრაზე ყაზახეთის ლიდერმა მაღალი შეფასება მისცა მიმდინარე წლის სექტემბერში გასამართ გენერალური ასამბლეის 77-ე სესიას: „ეს არის უნიკალური შესაძლებლობა მსოფლიო ლიდერებისთვის, შეიკრიბონ კონსტრუქციულ ატმოსფეროში, რათა წარმოადგინონ წინადადებები მთელი კაცობრიობისთვის ყველაზე მოთხოვნადი გადაწყვეტილებების მისაღებად“.

**ზოგადად, ყაზახეთის პრეზიდენტის მიერ შემუშავებული „შემსმენი სახელმწიფოს“ კონცეფცია თავად ტოკაევს შორსმჭვრეტელ სტრატეგად და პროგრესულ პოლიტიკოსად წარმოაჩენს. სწორედ სახელმწიფოს ამჟამინდელი მეთაურის მუშაობის წყალობით დაიწყო ქვეყანაში მიტინგების ჩატარების კულტურის ჩამოყალიბება, მოსახლეობა ღიად საუბრობს თავის პრობლემებზე, დამყარდა კომუნიკაცია ხელისუფლებასა და ხალხს შორის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გაიზარდა საზოგადოების ნდობა.**

**მურად ბეგიაშვილი**

# დაიწყო ხინოწმინდის ეკლესიის აღდგენა

**აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით ხინოწმინდაში იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის ტაძრის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო.**

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, ხინოწმინდის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2023 წლის ბოლოს დასრულდება, მისი აღდგენისთვის 750 000 ლარი დაიხარჯება.

**„აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ხინოწმინდის დღესასწაულზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, ტაძრის კულტურულ ღირებულებას გაუსვა ხაზი და მისი აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა.**

**აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით აღდგა სახალხო დღესასწაული ხინოწმინდობა. სახალხო დღესასწაულის ფარგლებში საპატიო ხინოწმინდელები დაჯილდოვდნენ. გაიმართა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი“,** — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.



# საქართველოში შესანიშნავი ბიზნესკულტურაა!

**2022 წლის პირველ ნახევარში უცხოური ინვესტიციების მოცულობა ისტორიულ პიკს მიუახლოვდა. ქვეყანაში პირველი 6 თვის განმავლობაში ლამის 1 მილიარდი დოლარი შემოვიდა. ასეთი შედეგი მხოლოდ ერთხელ, 2008 წელს დაფიქსირდა. მაშინ, აგვისტოს ომის შემდეგ, ქვეყანაში საინვესტიციო კრიზისი დაიწყო, ახლა კი უცხოელი და ადგილობრივი ანალიტიკოსები კიდევ უფრო მეტ კაპიტალდაბანდებას ელიან.**

როგორც ოფიციალური სტატისტიკიდან ირკვევა, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 351.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წლის II კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე 9.1 პროცენტით მეტია. მთლიანობაში, როგორც ირკვევა, 2 კვარტლის მაჩვენებელი ბოლო 14 წლის განმავლობაში სარეკორდოა. პირველ 5 თვეში 922 მილიონ დოლარზე მეტი მხოლოდ 2008 წელს შემოვიდა. მონაცემი მოწმობს, რომ ინვესტიციების მიმართულებით წელსაც, სავარაუდოდ, ასეთივე რეკორდული წელი გვექნება. აღსანიშნავია, რომ ინვესტიციებში ქვეყნების მიხედვით, პირველ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო — 64.7 მლნ აშშ დოლარით, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 18.4 პროცენტს შეადგენს, მეორე ადგილზეა ნიდერლანდები — 44.8 მლნ აშშ დოლარით (12.7 პროცენტი), ხოლო მესამეზე იაპონია — 41.8 მლნ აშშ დოლარითი (11.9 პროცენტი).

როგორც ეკონომისტი **გიორგი ცუცქირიძე** აღნიშნავს, გარდა იმისა, რომ ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა, გეოგრაფიული არეალიც დივერსიფიცირებულია და აქცენტი კეთდება მაღალი ღირებულების მქონე სექტორებზე, რის გავლენაც საბოლოოდ ეკონომიკურ ზრდაზე აისახება.

**„ბოლო ათწლეულში ყველაზე დიდი ინვესტიციების ზრდა ჩვენ 2017 წელს გვქონდა. ახლა კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 13.4%-ით აღემატება ბოლო ათწლეულში 2017 წლის მონაცემსაც, როდესაც წლიურმა ზრდამ 2 მილიარდი დოლარი შეადგინა. წარმოიდგინეთ, 2017 წლის პირველი ორ კვარტალთან შედარებითაც, წელს 13,5%-ით არის გაზრდილი. უნდა ვნახოთ სტრუქტურა. უცხოური ინვესტიციების მკვებავი ძირითადი წყაროა რეინვესტირება, კაპიტალში ინვესტიციები და კორპორატიული ვალდებულებები. ინვესტორებს არა მარტო შემოაქვთ კაპიტალი, არამედ მოგებას ტოვებენ და არ გააქვთ ქვეყნიდან, ანუ ადგილი აქვს რეინვესტირებას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. ყურადღებას იქცევს ინვესტიციების წარმომავლობაც. ყველაზე დიდი ინვესტიცია ევროპიდანაა შემოსული, მათ შორის ბრიტანეთიდან, ნიდერლანდებიდან და სხვ. შესაბამისად, გეოგრაფიაც არის დივერსიფიცირებული. ერთ მხარეს ევროკავშირის ქვეყნებია, მეორე მხარეს — იაპონია, თურქეთი და სხვა. აქცენტი გაკეთებულია მაღალი ღირებულების მქონე სექტორებზე, რასაც ეკონომიკურ ზრდაში გადამწყვეტი როლი აკისრია. ეს პირდაპირ აისახება მშპ-ს მაღალ ზრდაში, რომელსაც საქართველოს ეკონომიკა აჩვენებს“,** — განაცხადა ცუცქირიძემ და დასძინა, რომ გლობალურ ბაზრებზე არსებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს საინვესტიციო კლიმატი აშკარად გაუმჯობესებულია.

საქართველოში არსებული ბიზნეს კლიმატითა და საინვესტიციო გარემოთი ძალიან კმაყოფილნი არიან არა მარტო ადგილობრივი ანალიტიკოსები, არამედ უცხოელი სპეციალისტებიც. საერთაშორისო საინვესტიციო კონსულტანტის **ლორენ მოსის** შეფასებით, საქართველოში ინვესტიციებისთვის უზარმაზარი პოტენციალია. მან საქართველოში ვიზიტისას განაცხადა, რომ საქართველო მსოფლიოში საუკეთესო ადგილია, აქ შესანიშნავი ინფრასტრუქტურა, ბიზნეს კულტურა და კომუნიკაციის უნარებია.

**„საქართველოში პირველად ვიმყოფები და ჩემი ვიზიტის მთავარი მიზანია ქვეყნის საინვესტიციო პერსპექტივებში გარკვევა. მინდა გითხრათ, რომ გაოცებული ვარ — ეს არის საუკეთესო ადგილი მსოფლიოში, ეს არის იდეალური კარიბჭე ცენტრალურ ევროპასა და აზიას შორის. აქ არსებული ორენოვნება ძალიან შთამბეჭდავია. სიმართლე გითხრათ, აქ ცარიელი შთაბეჭდილებებით ჩამოვედი და ამ რამდენიმე დღეში პოზიტიური შთაბეჭდილებებით ვარ სავსე. საქართველოში ინვესტიციებისთვის უზარმაზარი პოტენციალია“,** — განაცხადა ლორენ მოსმა.

**ეკა ბაქრაძე**



# ახალგაზრდებო, გემუდარებით – ნუ გაწირავთ მშობლებს უცხოური კარიერისთვის...

**ხვალ 15 სექტემბერია – ყველასთვის სასიხარულო ჟამი, რადგან ახალი სასწავლო წელი იწყება. ასეთივე იყო ის ჩვენი ოჯახისთვისაც – სწორედ ამ დღეს დაიბადა ჩემი ულამაზესი და უსაყვარლესი (თუმცა ქორწინებიდანვე უიღბლო) ძმა – იუზა ჩანტლაძე, ერთი თვის წინ რომ გარდაგვეცვალა სრულიად უპატრონოდ, ჭიქა წყლისა და წამლის მიმწოდებელი ან სასწრაფო დახმარების გამომძახებელიც კი რომ არავინ ჰყავდა შუაღამისას მარტოდმარტო. როცა უნახავთ ჩვენებს გაყინული გვამი, თურმე საწოლის წინ ყოფილა დაჩოქილი და, ალბათ, ღმერთს ევედრებოდა – გადამარჩინეო. გულმა უმტყუნაო – ასკვნიან ექიმები, არადა გულს არასდროს უჩიოდა. კარდიოგრამაში გარკვეული ცვლილებები კი ჰქონდა, მაგრამ ასაკის შესაფერისი – დღეს 76 წლის უნდა გამხდარიყო...**

ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, რადგანაც გემის კაპიტნობაზე ოცნებობდა. ეს რომ გაიგო დედაჩემმა, კინაღამ გაგიჟდა: როგორც კი ბათუმისკენ დააპირებ წასვლას, იცოდე, მაშინვე თავს მოვიკლავო. შეეცოდა დედა და ამის შესახებ მომავალში ხმა აღარ ამოუღია, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა უამრავ სპეციალურ ლიტერატურას არა მხოლოდ ზღვებისა და მდინარეების, არამედ პაწაწინა ნაკადულების შესახებაც კი დედამიწის ზურგზე.

დაამთავრა თუ არა ინსტიტუტი, მაშინვე დაიწყო მუშაობა თბილისის 140-ე სკოლაში, მაგრამ ერთ წელიწადს ძლივს გაძლო, რადგან თითქმის ყველა ახალგაზრდა მასწავლებელმა და დამამთავრებელი კლასის მოსწავლემ სატრფიალო წერილები მისწერა, საშინლად გაბრაზდა, დაიფიცა – სკოლაში აღარასდროს ვიმუშავებო – და მიატოვა სამსახური...

რა უნდა მექნა, აღარ ვიცოდი...

მაშინ ენათმეცნიერებისა და ისტორიის ინსტიტუტები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ერთ სართულზე მდებარეობდა, რაც ძალიან უწყობდა ხელს თანამშრომელთა დაახლოებას. მე, როგორც სვანური ენის მკვლევარს, უდიდეს პატივს მცემდა პროფესორი გრიგოლ მარგიანი და ამიტომაც სწორედ მას შევჩივლე ჩემი ძმის ამბავი. ჯერ ბევრი იცინა და მერე მითხრა, რეზო ჩხეიძეს დავურეკავო (თურმე ბატონი რეზო, ბატონი გრიგოლი და ბატონი თენგიზ აბულაძე მოსკოვში სწავლის წლებში ერთ ოთახში ცხოვრობდნენ). კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი გაოცებულა – არც ბიოლოგი მჭირდება და არც გეოლოგი, თუმცა მეორე დღესვე მაინც მიიყვანა ბატონმა გრიგოლმა ჩემი ძმა კინოსტუდიაში, ბატონი რეზო აღფრთოვანებულა ულამაზესი ჭაბუკის დანახვაზე, მოსწონებია მისი რუსულიც და იმ დღიდან დაწყებული ყოველ ახალ წელს ულოცავდა საკავშირო კინოსტუდიას იუზა ჩანტლაძე ქართველების სახელით.

ქუდბედიანი აღმოჩნდა ჩემი ძმის ფეხი „ქართულ ფილმში", რადგანაც ის მოხვდა უბრწყინვალესი კინორეჟისორების ნანა ჯორჯაძისა და ირაკლი კვირიკაძის ჯგუფში, ვინც მაშინ იწყებდა მუშაობას ფილმზე „რობინზონიადა", რომელიც 1987 წელს კანის საერთაშორისო ფესტივალზე დაჯილდოვდა „ოქროს ვიდეოკამერით". სწორედ ამ ფილმის დირექტორი გახლდათ იუზა ჩანტლაძე.

შემდგომში, როგორც ჩანს, მაინც გახმაურდა ჩემი ძმის მთავარი გატაცების ამბავი და მას ერთ-ერთმა კინორეჟისორმა (სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს!) შესთავაზა სახელგანთქმული გემის კაპიტნის – ანატოლი კაჭარავას როლი მისადმი მიძღვნილ ფილმში; სინჯებიც გადაიღეს, მაგრამ ასაკობრივმა სხვაობამ ძალიან შეუშალა ხელი იუზას ოცნების განხორციელებას თუნდაც ეკრანზე...

მე ჩემს ძმაზე შვიდი წლით უფროსი ვარ, ამიტომ შვილიშვილებიც მყავს და შვილთაშვილიც, იუზას კი მხოლოდ ერთადერთი შვილიშვილი ჰყავს, ისიც ნახევრად რუმინელი, მაგრამ ამას ვიღა დაეძებდა?! პატარა ბიჭი უკვე ხუთი წლისაა, თუმცა არადა არ გვაღირსა დედამისმა მისი თბილისში ჩამოყვანა, საცოდავ ბაბუამისს კი გულის ჯიბეში ჩარჩა შვილიშვილის მხოლოდ ფოტო – მობილური ტელეფონიდან ამობეჭდილი...

ჩვენი რძლის საგვარეულო კასპის რეგიონს არ გასცილებია; მიუხედავად ამისა, მისმა შვილებმა არც ერთ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში არ „იკადრეს" განათლების მიღება – ჩალის ფასად გაყიდეს ჩვენი მშობლების ორსართულიანი სახლი თუ ეზო-ბაღნარი (600 კვმ), გაემგზავრნენ ლონდონში და ოცი წლის მანძილზე დაქირავებული ბინის თანხას, წამლებსა და პატარ-პატარა საჩუქრებსაც უგზავნიდნენ მამას აღზრდისათვის. არადა, როგორ სათუთად გაზარდა ორივე ქალიშვილი! – ცივი ნიავიც კი არასდროს მიუკარებია მათთვის!..

* * *

**ჩემო უძვირფასესო ძამიკო, არ შეგეშინდეს; შენ მარტო არ ხარ – ჩემს სავარაუდო საფლავში დაგკრძალეს ჩვენი მშობლების გვერდით... მეც მალე თქვენთან, მანამდე კი ჩემი ერთადერთი შვილის – თამრიკოს დამზადებულ სადილებს მოგიტანთ ყოველ საკურთხზე და არასდროს მოგაშიებთ (ისე, როგორც ამას ვაკეთებდით უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე).**

რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ეს რა უბედურებაა?! – სამედიცინო ექსპერტის დასკვნას თურმე 45 დღე სჭირდება, ჯერ კი მხოლოდ ერთი თვეა გასული.

რა ვქნათ?! – გავთავდით, დავილიეთ... უკვე ლოდინიც კი აღარ შეგვიძლია...

ღირდა კი ლონდონის სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომი ან იქაური კარიერა ასეთ უმძიმეს მსხვერპლად?! – ჩემს ულამაზეს ძმას სასიკვდილო არაფერი სჭირდა, მარტოდმარტო რომ არ ყოფილიყო შუაღამისას...

**იზა ჩანტლაძე,**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საპატიო პროფესორი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უვადო მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

# ნუ უღალატებთ საქართველოს!




**3000-ზე მეტ მოქალაქეს შეეზღუდა უკვე ევროპის ქვეყნებში შესვლა,** – აღნიშნულის შესახებ განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანთან თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში – ნიკოლ დე მურთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთა. დარახველიძის განმარტებით, აეროპორტებში ამოქმედდა გასვლის კონტროლის სისტემა, რაც ოფიცრების მიერ ადგილზევე საბუთების შემოწმებას გულისხმობს.

მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უვიზო მიმოსვლისა და ასოცირების დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით განხორციელებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, სამინისტრომ გააფართოვა ატაშეების ქსელი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და ისინი უკვე 19 ქვეყანას ფარავენ, კრიმინალიზებული გახდა საქართველოდან პირის, მიგრანტის ორგანიზებულად გაყვანა იმისათვის, რომ იგი უსაფუძვლოდ დარჩეს ევროპაში და მიიღოს გარკვეული ტიპის ბენეფიტები, ასევე, აეროპორტებში დაინერგა გასვლის კონტროლის სისტემა.

**„რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანის და ჩვენი მოქალაქის ვალია, რომ მაქსიმალურად გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს და არ დავუშვათ ის თუნდაც მცირედი გადაცდომები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს. რაც შეეხება გადადგმულ ნაბიჯებს, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გავაფართოეთ ატაშეების ქსელი ევროპის სხვადასხვა ქვეყნაში და შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეები უკვე 19 ქვეყანას ფარავენ, ასევე, კრიმინალიზებული გახდა საქართველოდან პირის, მიგრანტის ორგანიზებულად გაყვანა იმისათვის, რომ იგი უსაფუძვლოდ დარჩეს ევროპაში და მიიღოს გარკვეული ტიპის ბენეფიტები. ჩვენ აეროპორტებში ავამოქმედეთ გასვლის კონტროლის სისტემა, რაც გულისხმობს, რომ ჩვენი ოფიცრები ადგილზევე ამოწმებენ იმ საბუთებს, რაც, იდეაში, ევროპის აეროპორტებში უნდა შემოწმდეს და თუ დოკუმენტებში აღმოჩნდება დარღვევა, ან პირს აქვს გარკვეული აკრძალვები, ბუნებრივია, ხდება მისი რეისიდან მოხსნა და ველარ გაემგზავრება ევროპაში. 3000-ზე მეტ მოქალაქეს შეეზღუდა უკვე ევროპის ქვეყნებში შესვლა.**

**გარდა ამისა, აქტიურად ვთანამშრომლობთ ფრონტექსთან. ფრონტექსის ოფიცრები ჩვენს აეროპორტებში, ჩვენს კოლეგებთან ერთად, აქტიურად მუშაობენ იმისათვის, რომ თუ იქნება ნებისმიერი ტიპის ხარვეზები და ეჭვები, რომ შესაძლოა, პირი, იმ სიკეთეს, რაზეც საუბარი იყო, იყენებდეს არასწორი მიზნებისათვის და ასე ვთქვათ, სხვა დაუსაბუთებელი მიზნებისათვის, ამ შემთხვევაში, დროულად მოხდეს მისი გამოსწორება.**

**შეხვედრის დროს დავსახეთ სხვადასხვა მიმართულებით მუშაობის გაგრძელების პერსპექტივები. ეს შეიძლება იყოს გარკვეულ წილად ინფორმაციის გაცვლა, ასევე, ოფიცრების გაგზავნა ბელგიაში, იმისათვის, რომ ჩვენს კოლეგებს დროულად მივაწოდოთ ინფორმაცია, თუკი, ვთქვათ, ადგილი აქვს, იგივე, სახელის შეცვლას, გვარის შეცვლას, რასაც აქტიურად იყენებენ ევროპის ქვეყნებში შესასვლელად ჩვენი მოქალაქეები. ასევე, სხვადასხვა მიმართულებით ძალიან კარგი თანამშრომლობა გვაქვს ჩვენ საფრანგეთთან ამ კუთხით. დაისახა გეგმა, რომ ბელგიასთანაც გაგრძელდეს ამ კუთხით მუშაობა. ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ მილიონ-ნახევარი ვიზიტიდან ძალიან მცირეა გადაცდომების რაოდენობა, ჩვენი საერთო ძალისხმევა და ერთობლივი მონდომება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, რომ ეს რაოდენობაც კი მნიშვნელოვნად იქნას შემცირებული",** – განაცხადა ალექსანდრე დარახველიძემ.

# გვირგვინი წელიწადისა და დაწყება ინდიქტიონისა ანუ ეკლესიური ახლისა წელიწადისა



**ტროპარი: ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედო, ჟამთა და წელთა თვისითა ხელმწიფებითა დამსხმელო, აკურთხე გვირგვინი ამის წელიწადისა სიტკბოებითა შენითა, უფალო, დაიცევ სამწყსო შენი, რომელი გევედრები ღმრთისმშობელისა მიერ, დიდისაებრ წყალობისა შენისა.**

14 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს ეკლესიურის ახლის წელიწადის დაწყებას. ეს არის წელთაღრიცხვის ერთ-ერთი სათვალავი ქრისტიანულ ქვეყნებში. ცნობილია დიდი და მცირე ინდიქტიონი. მცირე ინდიქტიონი 15 წელიწადიანი ციკლია, რომელიც აღირიცხება 7 სექტემბრიდან, ხოლო დიდი ინდიქტიონი (იგივე მოქცევაი) 532 წლიანი ციკლია.

საგულისხმოა, რომ თავდაპირველად ინდიქტიონით წელთაღრიცხვა ეგვიპტეში შემოუღიათ. ბიზანტიაში ის კონსტანტინე დიდმა შემოიღო, XVIII საუკუნეში ინდიქტიონით წელთაღრიცხვა შეწყდა ყველა ქვეყანაში, შემორჩა მხოლოდ საეკლესიო აქტებში.

**გიული ლიპარტია**

## ევროპასკეტი

**ტყუილად როდი ვარაუდობდნენ — ნამდვილი ევრობასკეტი პლეი-ოფებიდან დაიწყებაო.**

**დიახ, ბერლინში მერვედფინალური ეტაპის პირველ სათამაშო დღეს გამართული შეხვედრების გამარჯვებული ორ შემთხვევაში დამატებითმა დრომ გამოავლინა, თბილისური ჯგუფიდან გერმანიის დედაქალაქში გადანაცვლებული კვარტეტიდან კი, მართალია, ტურნირს მხოლოდ ერთი ნაკრები შემორჩა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ჩვენთან სუსტები იყვნენ შეკრებილნი, რადგან ყველამ ღირსეულად ჩააბარა გამოცდა.**

### საფრანგეთი - თურქეთი 87:86

**(დამატებითი დროში)**

გობერი, ფურნიე და კამპანია კარგა ხანს ინარჩუნებდა ლიდერობას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქორქმაზს, თუნჩერის, ჰაზერსა და შანლის სამქულიანები წაუვიდათ, სამფეროვნები კატასტროფის პირას აღმოჩნდნენ. მათდა ბედად, უკანასკნელ წამებზე ნერვებმა ჩედი ოსმანს უმტყუნა, რომელმაც ორი საჯარიმო ააცილა მიზანს, ხოლო თამაში ოვერტაიმში საფინალო სასტვენამდე 2 წამით ადრე გობერმა გადაიყვანა...

აღსანიშნავია, რომ თურქებზე საბედისწეროდ იმოქმედა ლარკინის არყოფნამ.

### სლოვენია - ბელგია 88:72

ბალკანელები უფალს უნდა უმადლოდნენ, რომ დონჩიჩი ჰყავთ, რომელმაც 65:65-ზე პრეპელიჩი და დრაგიჩი აიყოლია მეტოქისთვის გადამწყვეტი ჩხვლეტების მისაყენებლად, ამან კი საბოლოოდ გაფანტა ჰაერში დატრიალებული სენსაციის სუნი.

### გერმანია-მონტენეგრო 85:79

ქებათაქება სტუმრებს, რომლებმაც 27-ქულიანი ჩამორჩენა რამდენიმე წუთით ადრე მატჩის დასასრულამდე პერის, დუბლევიჩისა და მიხაილოვიჩის ძალისხმევით თითქმის მთლიანად აღმოფხვრეს — 77:80. კრიტიკულ ვითარებაში გერმანია შრიოდერმა იხსნა, რომელმაც პარტნიორებიც უხვად მოამარაგა შედეგიანი გადაცემებით და თვითონაც მოაგროვა ძვირფასი ქულები.



# კალათი და სანახაობა

### ესპანეთი - ლიეტუვა 102:94

**(დამატებით დროში)**

ლიეტუვამ ზედიზედ სამი წაგებით დაიწყო ფორუმის სიკვდილის ჯგუფში გამოსვლა, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებთან კი ცალი ფეხით მეოთხედფინალში შეაბიჯა, როცა მესამე პერიოდში 11 ქულით დაწინაურდა.

ბალტიისპირელები ნბა-ში მოთამაშე ცენტრებმა — ვალანჩიუნასმა და საბონისმა დააღალატეს, ხოლო ბუტკიავიჩუსი, რომელმაც საფინალო სირენასთან ერთად ანგარიში გაათანაბრა, დამატებითი დროის მიწურულს გმირიდან ანტიგმირად იქცა, რადგან პერსონალურ შენიშვნასთან ერთად ტექნიკური საჯარიმოც აიკიდა, რასაც გრიგონისის ტრავმაც თან დაერთო.

რაც შეეხება სკარიოლოს ანსამბლს, სოლო ბრაუნმა შეასრულა, მას კი ბანი უბერებელმა ფერნანდესმა, დიასმა, გარუბამ და ძმებმა ერნანგომესებმა მისცეს.

უპრეცედენტო ფაქტით აღინიშნა მეორე დღეს გამართული პლეიოფები — ოთხიდან სამი შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით დასრულდა, უკანასკნელი კი ოდნავ ასცდა ნორმას — 94:86 და 94:88.

მერვედფინალის სენსაცია გამოაცხო იტალიამ, რომელსაც, მართალია, მწვრთნელი გაუძევეს, მაგრამ სტისუს, მელის და ფონტეკიოს თაოსნობით მაინც შინ გაისტუმრა იოკიჩის სერბეთი.

მომდევნო მატჩში ტურნირს უკანასკნელი ბალკანური მოჰიკანი — ხორვატეთი გამოეთიშა, ვისი ცოდვაც ფინელმა სნაიპერებმა მარკანენმა (43 ქულა და 9 მოხსნა), სალინმა და მაკსპუნმა დაიდეს.

დღე უკრაინა-პოლონეთის მეზობლური მერვედფინალით გაიხსნა, რომელიც ამ უკანასკნელებმა მოიგეს, ხოლო დაიხურა ბერძენთა გამარჯვებით ჩეხებთან.

**მეოთხედფინალებში დაწყვილდნენ:** ესპანეთი — ფინეთი, გერმანია — საბერძნეთი, საფრანგეთი — იტალია, პოლონეთი — სლოვენია.

## აუზში

# არის მერვე!



**საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური რომ მოიპოვა და ისტორიაში საუკეთესო შედეგით დაასრულა ევროპის ჩემპიონატი წყალბურთში, უკვე გაუწყეთ.**

მეხუთე-მერვე ადგილებისთვის ხორვატეთის ქალაქ სპლიტში გამართულ მინი-ტურნირზე **დეიან სტანოიევიჩისა** და **ზურაბ რურუას** გაწვრთნილი „ჯვაროსნები“ ჯერ ფრანგებთან დამარცხდნენ — 5:7, შემდეგ აღნიშნულ ფორუმზე მეორედ მონტენეგროსთან — 11:14 და საბოლოოდ საპატიო მე-8 ადგილი დაიკავეს.

**ფინალი.** ხორვატეთი — უნგრეთი 10:9. **მატჩი III ადგილისთვის.** ესპანეთი — იტალია 7:6.

## ტატამზე

# ღირსეულად დაბრუნდა

**ტრავმის მოშუშება და ტატამზე დაბრუნება ვერცხლის მედლით აღნიშნა ევროპის ღია პირველობის მონაწილე ერთადერთმა ქართველმა ძიუდოისტმა ლუკა მაისურაძემ (90 კგ).**

ბრაზილიელ (ვაზარი), სლოვაკ (იპონი), ფინელ (ვაზარი) და ებრაელ (იპონი) მეტოქეებთან გამარჯვების შემდეგ იგი ფინალში იპონით დამარცხდა ფრანგ ლორის ტასირთან.

ამასობაში დასახელდა „ჯვაროსანთა“ შემადგენლობა კონტინენტის იუნიორთა ჩემპიონატისთვის, რომელსაც 15-18 სექტემბერს პრაღა უმასპინძლებს.

**ვაჟები:** მაზიაშვილი (60), ზირაქაშვილი, კასრაძე (66), კაპანაძე (73), ჯაბნიაშვილი (81), ფოლადიშვილი (90), ჯაფარიძე (100), გურეშიძე, ტაბატაძე (მძიმე წონა).

**გოგონები:** როდონაია (48), ფოცხვერაშვილი (52), ლოლაძე, წიკლაური (57), ასკილაშვილი (63), გულბანი (70), მაისურაძე (78).



# მოკლედ

### რაგბი.

**ევროპის სუპერთასის პირველმა მფლობელმა შავმა ლომმა ახალი სეზონის სტარტზე გამართულ ქართულ დერბიში სტუმრად ქვეყნის ჩემპიონი ბათუმი დაამარცხა — 29:3.** იმავე დღეს ისრაელის თელ-ავივ ჰითმა რუმინეთში ვულვზს სძლია — 25:20.

**მეორე ტურში ითამაშებენ:** შავი ლომი — თელ-ავივ ჰითი და ვულვზი - ბათუმი. ეს მატჩები 18 სექტემბერს მოეწყობა.

### პროფესიული კრივი.

**დაუმარცხებელმა ახალქალაქელმა მოჩხუბარმა ოთარ ერანოსიანმა პროფესიულ რინგზე ზედიზედ მე-12 რვარაუნდიანი ბრძოლა მექსიკელ სესარ სუარესს სამივე მსაჯის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოუგო.**

შეგახსენებთ, რომ ახლახან „პიტბული“ WBA ვერსიით ნახევრადმსუბუქი წონის რეიტინგში მესამე ადგილამდე აღზევდა.

### ჩოგბურთი.

**აშშ-ის ღია პირველობა**. ფინალი. **ვაჟები.** კარლოს ალკარასი — კასპერ რუუდი 3:1 (6:4, 2:6, 7:6, 6:3). ეს 19 წლის ესპანელი თინეიჯერის პირველი ტრიუმფია დიდი სლემის ტურნირებზე, რამაც საერთაშორისო რეიტინგის ლიდერობა მოუტანა. იგი ასევე ყველაზე ახალგაზრდაა, ვინც მსგავს ტიტულს დაეუფლა.



**ქალები:** იგა სვიატეკი — ონს ჟაბორი 2:0 (6:2, 7:6). მსოფლიოს პოლონელმა პირველმა ჩოგანმა წლეულს როლან გაროსზეც გაიმარჯვა.

### ფრენბურთი.

ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი 24-წლიანი შესვენების შემდეგ იტალიამ მოიგო. ფინალში „სკუადრა აძურამ“ 4 პარტიაში დაამარცხა მასპინძელი პოლონეთი.

### ჭიდაობა.

საქართვ;ელოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ვერცხლი მოიპოვა.

55 კილოში საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე 25 წლის ხობელმა ფალავანმა **ნუგზარ წურწუმიამ** ააბიჯა, ვინც მსგავს ფორუმებზე მოხვეჭილ ჯილდოთა სრულ კოლექციას მოუყარა თავი, ხოლო 63 კილოში ზედიზედ მეორედ გახდა მეორე პრიზიორი **ლერი აბულაძე**. დავძენთ, რომ სერბეთის სახელით ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა **ზურაბ დათუნაშვილმა**.

გახსენება



# ბეჟან თუთბერიძე

ექვსი ტკივილიანი თვე გავიდა ბეჟან, რაც ჩვენგან წახვედი და იმ ქვეყანის სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრე ადგილი. ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა დღე და საათი, რომ შენზე არ მეფიქრა. არ მეფიქრა სევდით, ტკივილითა და ცრემლით და ალბათ ასე გაგრძელდება ჩემში ჩემი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე. ძალიან მაკლიხარ და მენატრები, ბეჟან!

ბეჟან! მე შენი ძმა ვარ და ამიტომ მაქვს უფლება შენობით გელაპარაკო და მოგმართო, რამეთუ სხვები: თანამშრომლები, სტუდენტები, დოქტორანტები და უცხოები — ამ ფორმით მომართვას არ გაკადრებდნენ და ვერც გაგიბედავდნენ, რადგან შენ იყავი უნაკლო ადამიანი, დიდი პიროვნება, განათლებული, ინტელიგენტი და თავმდაბალი, ყველას უანგაროდ დამხმარე და გვერდში მდგომი, განსაკუთრებით შენ იყავი ჩემი გულშემატკივარი და მზრუნველი და თუ დღეს მე ჩემი ადგილი მაქვს, ბეჟან, საზოგადოებაში, ეს შენი დამსახურებაა. მე შენ ყოველთვის მიწევდი დედის და მამის მაგივრობას. შენ ჩემთვის იყავი ყველაფერი. დიდი მადლობა, ბეჟან, ამისთვის, დიდი მადლობა!!!

ბეჟან! შენი თანდაყოლილი ნიჭით, სწავლითა და დაუღალავი შრომით სიცოცხლეშივე შექმენი შენი სამყარო და დაიმკვიდრე საპატიო ადგილი უნივერსიტეტის გამოჩენილ პროფესორ-მასწავლებლებს და აკადემიკოსებს შორის. იყავი წარჩინებული სტუდენტი (ლენინური სტიპენდიატი), ასპირანტი და შემდეგ მაღალ დონეზე დაიცავი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები...

დიდი და სახელოვანია შენ მიერ განვლილი გზა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. იყავი კომკავშირის კომიტეტის მდივანი, პროფკავშირის თავმჯდომარე, დეკანის მოადგილე და დეკანი, სიცოცხლის ბოლო წუთამდე იყავი, როგორც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მინერალოგი-პეტროგრაფით მეცნიერების დოქტორი, სრული პროფესორი და კათედრის გამგე. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. დაჯილდოებული იყავი საქართველოს პრეზიდენტის ღირსების მედლით. განსაკუთრებით გიყვარდა უნივერსიტეტი და მისი თეთრი კედლები, სადაც თითქმის 60 წელი გაატარე და მიაღწიე მეცნიერების მაღალ მწვერვალებს, სტუდენტობიდან პროფესორობამდე. გამოცემული გაქვს ორი სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. უნივერსიტეტი ხომ შენი მეორე სახლი იყო, ბეჟან, თუ პირველი — არა... შაბათ-კვირასაც კი იქ გნახავდა კაცი.

ნეტავ, მანდ უნივერსიტეტი არის?! მინდა მჯეროდეს, რომ არის! რადგან ვერ წარმომიდგენია შენი ყოფა უნივერსიტეტის გარეშე, როგორც აქ, ისე მანდ — სამუდამო განსასვენებელში...

ყველას გვაკლიხარ და გვენატრები, ბეჟან, განსაკუთრებით — შენს დიდ ოჯახს, მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს, დედმამიშვილებს, სანათესაოს, შენს დიდ სამეგობროს, უნივერსიტეტის თანამშრომლებს, სოფელში ჩვენს ბიძაშვილებს და მეზობლებს და ყველას, ვინც ერთხელ მაინც შეგხვედრია... ძალიან ადრე იყო ბეჟან, შენი წასვლა, ბევრი კარგი საქმე დაგრჩა გასაკეთებელი, შენი მსგავსი ადამიანები დიდხანს უნდა ცოცხლობდნენ.

ბეჟან, შენ კიდევ დიდხანს სჭირდებოდი ოჯახს, უნივერსიტეტს, ქვეყანას და ჩვენ, ყველას... მე ხშირად მოვდივარ, ბეჟან, შენთან, გინთებ ცრემლიან სანთლებს და ვლოცულობ შენზე. ღმერთმა სულ ნათელში ამყოფოს შენი ამაღლებული ლამაზი სული, ბეჟან!

დროებით!

შენი ძმა

**რუბენ თუთბერიძე**



# გარდაიცვალა მსახიობი მიხეილ გომიაშვილი

61 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი მიხეილ გომიაშვილი.

მიხეილ გომიაშვილი დაიბადა 1961 წლის 23 მარტს. 1986 წელს დაასრულა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი.

მუშაობდა „მეტეხის თეატრში“. 1996 წლიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. თეატრში შესრულებული აქვს როლები: პროფესორი (ამელი ნოტომი „საწვავი“), ქართლოსი (მ. დოლიძე „მდგმურები“), მსახიობი (ავთო ვარსიმაშვილი „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“), მაცხოვარი (ილია ჭავჭავაძე „განდეგილი“), დიუპრე (პეტერ ვაისი „მარატ-სად“-ის მიხედვით „დირექტორი აბაზანაში“), ანტონა (დავით კლდიაშვილი „უბედურება“), ნიკოლოზი (ლაშა თაბუკაშვილი „თოვლივით თეთრი თოვლი“), ექიმი ესტერმარკი (ავგუსტ სტრინდბერგი „მამა“) და სხვ.

შესრულებული აქვს კინოროლები: „სიყვარული ვენახში“ (გიორგი), „ანთიმოზ ივერიელი“ (მავრომორდატი), „კონფლიქტის ზონა“ (მამაო), „ყველა წავიდა“ (დალაქი) და სხვა.

მიღებული აქვს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალ „ოქროს ნიღაბის“ გრანპრი, სპექტაკლებში „მამა“ და „ART-ხელოვნება“.

## ყველაზე დიდი ჯილდო – მაყურებლის სიყვარული

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კინოსა და თეატრის მსახიობ მიხეილ გომიაშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

**„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ კინოსა და თეატრის უნიჭიერეს მსახიობ მიხეილ გომიაშვილის გარდაცვალების გამო. მაყურებლის სიყვარული და აღიარება ყველაზე დიდი ჯილდოა მსახიობისთვის, რაც ასე უხვად ჰქონდა ამ შესანიშნავ ხელოვანს. ვუსამძიმრებ ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებსა და კოლეგებს ასეთ მძიმე დანაკარგს“.**



# შეტაკებებისას სომხური მხრიდან 49 სამხედრო დაიღუპა

**სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის განცხადებით, ღამით აზერბაიჯანისა და სომხეთის ძალებს შორის საზღვრის გასწვრივ შეტაკებების შედეგად სომხური მხრიდან 49 სამხედრო დაიღუპა. სომხეთის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, ნიკოლ ფაშინიანმა ბაქო სომხეთის ძალების პოზიციებზე თავდასხმაში დაადანაშაულა.**

საზღვრის გასწვრივ ვითარების ესკალაციაში ბაქო და ერევანი ერთმანეთს ადანაშაულებენ.

სომხეთისა და აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროები საზღვარზე არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებენ. სომხეთის თავდაცვის უწყების ცნობით, გუშინ დილის 8 საათის მდგომარეობით, საზღვარზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

**„მოწინააღმდეგე განაგრძობს არტილერიის, ნაღმმტყორცნების, უპილოტო საფრენი აპარატებისა და მსხვილკალიბრიანი შეიარაღების გამოყენებას ვარდენისის, სოტკის, ართანიშის, იშხანასარის, გორისისა და კაპანის მიმართულებებით, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ. საზღვრის ცალკეულ მონაკვეთებზე, ასევე მიმდინარეობს პოზიციური შეტაკებები. მოწინააღმდეგე არ წყვეტს წინ წაწევის მცდელობებს“,** — ნათქვამია სომხეთის თავდაცვის უწყების განცხადებაში.

სამინისტროს ცნობით, სომხეთმა არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა ქვეყანაში აკრედიტირებული საელჩოების სამხედრო ატაშეებს.

სომხური მედიის ცნობით, აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა გვიან ღამით გრადის სისტემებით დაბომბეს სუნიქის ოლქის სოფელი ქარაშენი. დაზიანდა რამდენიმე შენობა, არავინ დაშავებულა. ამასთან, გამოცემა „ნიუს ამი“ წერს, რომ აზერბაიჯანის მხრიდან სოფელ სოთქის მისამართით საარტილერიო ცეცხლის შედეგად ორი ქალი დაშავდა. შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**„12 სექტემბრის ღამით სომხეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა სომხეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დაშქესანის, ქალბაჯარის და ლაჩინის მიმართულებებზე მასშტაბური პროვოკაცია განახორციელეს. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ღამით სომხეთის შეიარაღებული ძალების დივერსიულმა ჯგუფებმა ისარგებლეს მთიანი რელიეფით და ხეობებით, აზერბაიჯანის არმიის დანაყოფების პოზიციებსა და მომარაგების გზებს შორის ტერიტორიები სხვადასხვა მიმართულებებით დანაღმეს. ამის გარდა, სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა სხვადასხვა ტიპის შეიარაღებიდან, მათ შორის ნაღმმტყორცნებიდან, ინტენსიური ცეცხლი გახსნეს აზერბაიჯანის არმიის პოზიციების მიმართულებით დაშქესანის, ქალბაჯარის და ლაჩინის რაიონებში. შედეგად, არის მსხვერპლი ჩვენი შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში, დაზიანებულია სამხედრო ინფრასტრუქტურა“,** — ნათქვამია აზერბაიჯანის საგარეო უწყების განცხადებაში.

# რუსი დეპუტატები და საჯარო მოხელეები პუტინის წინააღმდეგ

**მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის 18 ოლქის მუნიციპალურმა დეპუტატებმა რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის გადადგომის მოთხოვნით საჯარო განცხადებას მოაწერეს ხელი.**

შესაბამისი დოკუმენტი პეტერბურგის მუნიციპალური სემენოვსკის ოლქის დეპუტატმა ქსენია ტორსტრემმა გამოაქვეყნა. აღნიშნული დეპუტატი იყო ხელმოწერების შეგროვების ორგანიზატორი.

**„ჩვენ, რუსეთის მუნიციპალური დეპუტატები, მივიჩნევთ, რომ პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ქმედებები ზიანს აყენებს რუსეთის მომავალსა და მის მოქალაქეებს. ვითხოვთ ვლადიმირ პუტინის რუსეთის ფედერაციის პოსტიდან გადადგომას“,** — ნათქვამია განცხადებაში. მანამდე, პუტინის გადადგომის მოთხოვნით გამოვიდა მოსკოვის ლომონოსოვის მუნიციპალური ოლქის დეპუტატთა საბჭო. ამას გარდა, პეტერბურგის სმოლნინსკოეს მუნიციპალური ოლქის დეპუტატებმა სახელმწიფო დუმას მოუწოდეს, რომ ვლადიმერ პუტინს სახელმწიფო ღალატის ბრალდება წაუყენონ. აღნიშნული დეპუტატების წინააღმდეგ რუსეთის არმიის დისკრედიტაციის ბრალდებით საქმე აღძრეს.





## მულტიმედიური გამოფენა – დავით კლდიაშვილი

**დავით კლდიაშვილის დაბადებიდან 160 წლის იუბილეს აღსანიშნავად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა მულტიმედიური გამოფენა მოამზადა. კლასიკოსი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ეროვნულ არქივში დაცული ფოტოები, კინოდოკუმენტები, ავტოგრაფები, წერილობითი დოკუმენტები, პუბლიკაციები, მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმების კადრები ფართო საზოგადოებას ამ ფორმატით პირველად წარედგინა.**

დავით კლდიაშვილი 1862 წლის 11 სექტემბერს (ძველი სტილით 29 აგვისტოს) სოფელ სიმონეთში სამსონ კლდიაშვილისა და კესარია ღოღობერიძის ოჯახში დაიბადა.

# მწერლები, რომელთა ადრინდელ პროფესიაზე ალბათ არაფერი გსმენია

## 3. მარკ ტვენი



**მარკ ტვენს, რომლის ნამდვილი სახელი სემუელ კლემენსი იყო, სკოლის მიტოვება და მუშაობის დაწყება 12 წლის ასაკში მოუხდა. მაშინ მან პირველი სამსახური ადგილობრივ გაზეთში იშოვა და მბეჭდავი გახდა.**

თუმცა, მისი ლიტერატურული კარიერის წინაპირობად თბომავალზე მუშაობის დაწყება გახდა. სწორედ აქ აირჩია საკუთარი ფსევდონიმი მწერალმა, რომელიც მკითხველმა თავდაპირველად იუმორისტული მოთხრობების ავტორად გაიცნო. მოგვიანებით, ავტორმა ამერიკულ ლიტერატურაში ორი მეტად გამორჩეული ნაწარმოები – „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ჰეკლბერ ფინის თავგადასავალი“ – დაწერა.

## 4. ჯორჯ მარტინი

**ლეგენდარული „ვესტეროსის“ შემქმნელი ბავშვობაში კომიქსებით იყო გატაცებული. მარტინს ამბები იმდენად უყვარდა, რომ წერას დიდად არასდროს დაშორებია.**



იმის მიუხედავად, რომ 1983 წელს გამოცემულმა სადებიუტო რომანმა The Armageddon Rag ავტორს დიდი წარმატება არ მოუტანა, ჯორჯმა The Twilight Zone-ის ახალი ვერსიის სცენარზე იმუშავა, მოგვიანებით კი მზეთუნახავისა და ურჩხულის სატელევიზიო სერიალიც შექმნა. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო სატახტოთა თამაშის წერა – წიგნისა, რომელიც შემდგომ საკულტო ფენტეზი საგის პირველ ნაწილად იქცა. მართალია, კომერციული წარმატებით არც ეს წიგნი გამოირჩეოდა, თუმცა, მისმა გაგრძელებებმა, მოგვიანებით კი HBO-ის გახმაურებულმა სერიალმაც მარტინს საყოველთაო აღიარება მოუტანა. დღეს ყინულისა და ცეცხლის სიმღერა მსოფლიოში 90 მილიონზე მეტ ეგზემპლარადაა გაყიდული.

## 5. ტონი მორისონი

**როცა ლეგენდარული ტონი მორისონი თავის პირველ წიგნზე, „ყველაზე ცისფერი თვალი“, მუშაობდა, წერისთვის დროის გამონახვა გამომცემლობაში საქმიანობისა და ორი შვილის გაზრდის პარალელურად უწევდა. როდესაც მწერალი გარდაიცვალა, მაშინ თქვეს, რომ მორისონმა შესანიშნავად წარმოაჩინა, რა „როლს ასრულებენ ქალები საზოგადოების გადარჩენაში“ – ამაში ხომ მას სწორედ საკუთარი გამოცდილება დაეხმარა.**



სხვათა შორის, გამომცემლობამდე მორისონი აკადემიურ სფეროში მუშაობდა – ჯერ ტეხასის სამხრეთულ უნივერსიტეტში, შემდეგ კი ჰოუარდის უმაღლეს სასწავლებელში კითხულობდა ლექციებს. პედაგოგიურ საქმიანობას პერიოდულად იგი მოგვიანებითაც უბრუნდებოდა, როცა უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი იყო.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №142

## ტრადიცია ტრადიციაა – მას დაცვა სჭირდება



**მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის ფარგლებში, ბუკინგემის სასახლესა და კლარენს ჰაუსში ბინადარ სამეფო ფუტკრებს დედოფალ ელისაბედ მეორეს გარდაცვალების შესახებ შეატყობინეს.**

79 წლის სამეფო მეფუტკრემ, ჯონ ჩეპელმა ყველა სკას სამგლოვიარო შავი ლენტი შეაბა, ყველა მათგანზე დააკაკუნა და ტრადიციული ფრაზა თქვა: **„თქვენი პატრონი გარდაიცვალა, მაგრამ არ გაფრინდეთ. ახალი პატრონი კარგად მოგექცევათ“.**

ბრიტანეთში ითვლება, რომ თუ ფუტკრებს მფლობელის შეცვლის შესახებ არ შეატყობინებენ, ისინი თაფლის წარმოებას შეწყვეტენ, გაფრინდებიან ან დაიხოცებიან.

## ლეგენდარული გოდარი გარდაიცვალა



**ფრანგი და შვეიცარიელი კინორეჟისორი, მსახიობი, სცენარისტი და პროდიუსერი, „ფრანგული ახალი ტალღის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ჟან-ლიუკ გოდარი 91 წლისა გარდაიცვალა.**



## პოიტრასის ფილმი „ოქროს ლომის“ მფლობელია

**ვენეციის კინოფესტივალზე „ოქროს ლომი“ ამერიკელი რეჟისორის, ლორა პოიტრასის ფილმმა „მთელი სილამაზე და სისხლისღვრა“ მოიპოვა.. დაჯილდოების ცერემონია კუნძულ ლიდოზე გაიმართა. „ოქროს ლომის“ მოსაგებად სულ 23 ფილმი იბრძოდა. „ვერცხლის ლომი“ იტალიელი ლუკა გუადანინოს ფილმმა „ძვლები და სხვა ყველაფერიც“ მოიგო.**

კაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ჯილდო კოლინ ფარელს, ხოლო ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის – კეიტ ბლანშეტს ერგო.

## ჰამაკში მონებივრე ენოტი



აშშ-ში, ფილადელფიაში, ქალმა საკუთარ ჰამაკში ენოტი იპოვა.

**„უკაცრავად, ვინ ასწავლა ენოტს ჩემს ვერანდაზე ჰამაკის გამოყენება?“,** – დაწერა ქალმა ტვიტერზე. როგორც სახლის პატრონი ამბობს, ენოტი მის ჰამაკში მთელი ღამე დარჩა.

## ციყვმა 10 ათასი აბონენტი ელექტროენერგიის გარეშე დატოვა

**აშშ-ში, ვირჯინიაში, ქალაქ ვირჯინია-ბიჩში, 10 000 აბონენტი თითქმის ერთი საათი ელექტროენერგიის გარეშე იყო. მიზეზი ციყვია.**

არსებული ინფორმაციით, ძუძუმწოვარი ელექტროსადგურში შეძვრა და ავტომატურ გამომრთველსა და ტრანსფორმატორს შორის გაიჭედა. შედეგად, ძაბვა მკვეთრად გაიზარდა, სისტემა გადაიწვა და ციყვი ვერ გადარჩა.

## ღორმუცელა, დაუპატიჟებელი სტუმარი



**აშშ-ში, კონექტიკუტში, ორი წლის ბავშვის დაბადების დღეზე, დაუპატიჟებელი სტუმარი გამოჩნდა – ტყიდან გამოსულმა დათვმა ნამცხვრები შეჭამა.**

მასპინძელმა ოჯახმა და სტუმრებმა თავი სახლს შეაფარეს. გარეულ ცხოველს მათზე თავდასხმა არ უცდია. ნამცხვრების მირთმევის შემდეგ, დათვი კვლავ ტყეში გაძუნძულდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 16 სექტემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8342; ევრო - 2.8736
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3081;
100 რუბლი - 4.6831; თურქული ლირა - 0.1554;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6662;
1000 სომხური დრამი - 6.9980.

**ამინდი 14 სექტემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +23 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11 | დღე +19 |
| თბილისი: | ღამე | +20, | დღე +26 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge